პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. კ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქ. რ. ევკომის
ორგანო

6 დეკემბერი
სამშაბათი

1918. ოსმალეთის მთელი ფლოტი გადაეცა მოკავშირეებს.

1900. პოლიციამ სცემა ახალგაზრდობას მცირე თეატრში პეტერბურგში, ანტისემიტურ პიესის «კონტრაბანდისტი»-ს დადგმის წინააღმდეგ პროტესტის გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 სსერთო №

№ 229 სამშაბათი, 6 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 6 დეკემბერი, 1921 წ. № 229

დღეს იხსნება ამიერ-კავკასიის კომუნისტური პარტიების თათბირი.

დღეს საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის, აფხაზეთის და სხ. მშრომელთა წარმომადგენელნი იმსჯელებენ მჭიდრო, ფედერატიულ კავშირის საჭიროებაზე.

კვლავ თავს იყრის ამიერ-კავკასიის მშრომელთა საერთო, რევოლიუციური ოჯახი.

მრთელდება მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების მიერ გატეხილი ერთობა.

ხელახლა იჭედება მშრომელ ხალხთა ძმობა, თანხმობა, სოლიდარობა.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მუშების, გლეხების და ყველა მშრომელთა კავშირს!

გაუმარჯოს მათ საერთო შრომას და ბრძოლას საბჭოთა ამიერ-კავკასიის ასაყვავებლათ!

გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყნების მჭიდრო კავშირს, მათ ფედერაციას!

ინტერნაციონალურ სოლიდარობის დღე

ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხთა ინტერნაციონალურ სოლიდარობის დღის ჩასატარებლად დღეს რაიონებში დანიშნული არიან შემდეგი ამხანაგები:

1-ლ რაიონში—მამია ორახელაშვილი, ს. ორჯონიკიძე, ბუდუ მდივანი, ვ. ეგოროვი, ივანოვ-კავკასსკი.

მე-2-რე რაიონში—ლ. ღოღობერიძე, წიწვიძე ილია, ელიავა, კიკნაძე ნ., ლ. დუმბაძე.

მე-3 რაიონში—კასიანი, კახიანი, ი. კალანდაძე. ჯაფაროვი, ბუნიატზადე, ხანბუდაგოვი.

მე-4 რაიონში—ტოროშელიძე, ვირაპი, ქავთარაძე ს., ყურულაშვილი, რუდაკოვი.

აღნიშნული ამხანაგები დღის 1 საათზე უნდა გამოცხადდენ დანიშნულ რაიკომში, მუშათა მიტინგზე დასაგზავნათ.

თ. კ. მდივანის მაგ. კახიანი.

დღეს 6 დეკემბერს, ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხთა ინტერნაციონალურ სოლიდარობის დღეს, წარმოდგენებ-კონცერტების დაწყების წინ და კინოებში გამოვლენ შემდეგი ამხანაგები:

სახელმწიფო ოპერა—ს. ქავთარაძე.
შოთა რუსთაველის თეატრი—მ. ორახელაშვილი.
სახალხო სახლი—ლ. ღოღობერიძე.
»სატირ-აგიტ«-ის თეატრი—ეგოროვი.
ავლაბრის კლუბი—ბეგზადიანი.
კომუნ. მეურნეობის თეატრი—სოკოლოვსკი.
მუშათა ცენტრ. კლუბი—კახიანი მიხეილი.
ორთაჭალის თეატრი—ვირაპი.
«ნაძალადევის» თეატრი—ს. ორჯონიკიძე.
მილიციის თეატრი—ივანოვ-კავკასსკი.
»მიხა ცხაკაიას« თეატრი—კალანდაძე თ.
საქარ. წით. არმ.—ოკუჯავა ნიკოლოზ.
მე-5 რაიონის კლუბი—ბუნიატ-ზადე.
არსენალის თეატრი—ნიკოლოზ კიკნაძე.

კინოებში:

»არფასტო«—წიწვიძე ილია.
»აპოლლო«—მამულაიშვილი.
»კინო-პალასი—აივაზოვი.
»კინო-მინიონი»—ყურულაშვილი.
»ალკრე«—კვირიკაძე.
»კინო-რაბისი»—აღნიაშვილი.

გამოსვლის დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თ. კ. მდივანი ღოღობერიძე.

ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობა

(თეზისები ორატორებისათვის)

1. ამიერ-კავკასიაში შედარებით მცირე მანძილზე ბევრი ხალხი ცხოვრობს. მრავალი წლების განმავლობაში ისინი განიცდიდნენ ორგვარ ჩაგვრას: პირველ ყოვლისა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება უფრო და უფრო უთმობდა ადგილს კაპიტალიზმს, რომელიც იჭრებოდა ქვეყნის ფრიად მივარდნილ ადგილებშიც, და მონობასთან ერთად, რომელშიაც იმ თავითვე იმყოფებოდა გლეხი, დაიწყო მუშის ექსპლოატაციაც, რომლისაგან გულმოდგინედ ქაჩავდნენ ზედმეტ ღირებულებას. ამ ჩაგვრას, რომელიც საერთოა ყოფილ რუსეთის და, კიდევ მეტი, მთელი მსოფლიოს ყველა მშრომელი მასსებისათვის, ემატებოდა კიდევ ეროვნული ჩაგვრა. ძველი რუსეთი თავის განაპირა უცხო ტომელთა მიმართ გარკვეულ თვითმპყრობელურ პოლიტიკას აწარმოებდა.

მპყრობელი რუსის ერის, უფრო სწორედ, მისი გაბატონებულ კლასების ინტერესებს ეწირებოდა დამონებული განაპირა ხალხების ყველა ეროვნული მისწრაფებანი და მოთხოვნილებანი.

2. ეროვნული კულტურის გამოხატულებანი, მშობლიური ენა, მწერლობა, ჩვეულებები, რომელნიც დევნას განიცდიდნენ, და ენერგიული, ძველი პოლიციური სახელმწიფოს ყველა საშუალებებით გამაგრებული მისწრაფება განაპირების რუსიფიკაციისათვის ბუნებრივად იწვევდნენ წინააღმდეგობას და ბრძოლას დაჩაგრულ ხალხების მხრით.

3. დაბალ კლასებში იზრდებოდა და მტკიცდებოდა უკმაყოფილება და აღშფოთება თავისი თავისუფლების მოკლებულ არსებობის აუტანელ პირობების წინააღმდეგ.—ეს უკმაყოფილება ბუნებრივად მიმართული იყო პირველად თავისი უშუალო მჩაგვრელების, მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ, ხოლო რევოლიუციონურად განწყობილ მასსების შეგნების ზრდასთან ერთად თავისი ჩაგვრის პირველ წყაროების—მთლიანად თვითმპყრობელობის და კაპიტალისტურ საზოგადოების წინააღმდეგ.

4. ადგილობრივი გაბატონებული კლასები ცდილობდნენ მასსების რევოლიუციონიზმის სოციალ-ეკონომიური ფაქტორები შეეცვალათ ნაციონალური ფაქტორებით. ემყარებოდნენ რა მთელი ხალხის უეჭვო ეროვნულ ჩაგვრას მპყრობელი ერის მხრით, ისინი ცდილობდნენ მასსების სტიქიური უკმაყოფილება წარემართათ ეროვნულ განთავისუფლებისათვის ბრძოლის კალაპოტით და ამ ეროვნულ ბრძოლაში ისინი ესწრაფოდენ თავის ხალხის ყველა კლასების და წრეების გაერთიანებას თავისი იდეური ბატონობის ქვეშ. იმ ხალხებს კი, რომელნიც განირჩეოდნენ რუსებისაგან არა მარტო ენით, არამედ სარწმუნოებითაც, როგორც მუსულმანები, თავისი გაბატონებული კლასები უერთიანებდნენ არა მარტო ეროვნული, არამედ სარწმუნოებრივ ლოზუნგების ქვეშაც.

5. თვითმპყრობელობა თავის მხრივ მიისწრაფოდა გამოეყენებია ეს ეროვნულ—სარწმუნოებრივი სული, რომელსაც უნერგავდნენ ფართე მასსებს მათი გაბატონებული კლასები, თავიდან უკმაყოფილების მოცილების და მეზობელ ერზე მისი წასისინების მიზნით. აქცევდა რა თავის პროვოკაციულ პოლიტიკაში სოციალური კლასობრივი მტრობის ელემენტს, რომელიც არსებობდა სომეხ ბურჟუაზიასა და მუსულმან მუშებს და გლეხებს შორის, თვითმპყრობელობა წარმართავდა ამ მტრობას ეროვნული კალაპოტით და ფართედ აწყობდა ერთაშორისო აწიოკებას და ხოცვა-ჟლეტას.

6. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, ამიერ-კავკასიაში ყველა მოსახლე ხალხების გაბატონებული კლასების ნაციონალური ქვენა გრძნობები და ზრახვები უფრო გაალმასდნენ. ამ გაბატონებული კლასების წინაშე პირველად წარმოსდგა შესაძლებლობა თავის ხალხზე თავის შეუზღუდველი ბატონობის განმტკიცებისა, მპყრობელი, რუსი ერის მხრივ ჩაურევლად და წამოუძახებლად. ოქტომბრის რევოლიუციის პირველივე დღეებიდან ისინი მიისწრაფოდენ შეექმნათ თავისი დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოები და ამისათვის ფართედ სარგებლობდნენ და ყველა ზომებით აღვივებდენ ეროვნულ და სარწმუნოებრივ მტრობას.

7. ამიერ-კავკასიის წვრილი ნაციონალურ—ბურჟუაზიული სახელმწიფოები აღმოჩნდნენ გაჟღენთილნი იმავე მოუთმენლობით თავის მეზობლებისა და ეროვნულ უმცირესობათა მიმართ, როგორც მეფობის დროს. მეგობრული და ძმური თანაცხოვრების მაგივრად ახლად აღმოცენებული სახელმწიფოები სამი წლის განმავლობაში იძლეოდნენ ურთიერთი ბრძოლის, ურთიერთი სიძულვილის და ქიშპობის სურათს,

8. ამგვარად, უკანასკნელ დრომდე გაბატონებული პოლიტიკური პირობები ქმნიდნენ ამიერ-კავკასიაში ნოყიერ ნიადაგს ეროვნულ სიძულვილისა და მტრობის ზრდისათვის. ხელისუფლების სათავეში მოქცეული ბურჟუაზიული იდეოლოგები, მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები, აკეთებდნენ ყველაფერს რაც შეეძლოთ, რათა არსებულიყო ეროვნული გაუტანლობა და გაეღვივებინათ ნაციონალური მტრობა. პირდაპირ ყოველი დღე მათი ყოფნისა ხელისუფლების სათავეში აღნიშნული ხდებოდა ახალი ძმათა-მკვლელი ომებით, ახალი პროვოკაციული გამოსვლებით ამა თუ იმ ერის წინააღმდეგ ამიერ-კავკასიაში.

9. მაგრამ ეკონომიური განვითარების გარდაუვალი პირობები, რომელიც ქმნიდა პროლეტარიატის კლასს ქალაქებში და კლასობრივად ანაწილებდა სოფელსაც, მძლავრად მიგვაქანებდნენ მშრრმელთა ინტერნაციონალურ გაერთიანებისაკენ. მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის სწრაფი ზრდა მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან, საერთო ბედით, საერთო ბრძოლით და მსხვერპლით შედუღებული მკვიდრი და განუყრელი ჯაჭვებით აერთებდა ამიერ-კავკასიის მუშებს ერთ ინტერნაციონულ კავშირად, რა ეროვნებასაც ისინი არ უნდა ეკუთვნოდნენ.

10. ეს ერთა შორის სოლიდარობა აღმოჩნდა თვითმპყრობელობის ოინებსა და პროვოკაციულ ცდებზე უფრო მძლავრი, მანვე არ მისცა საშუალება გაფურჩქვნილიყვნენ შოვინიზმის შხამიან ყვავილებად იმ ნაციონალისტურ თესლებს, რომლებსაც უხვად აბნევდნენ ამიერ-კავკასიის გაბატონებული კლასები და მათი დამქაშები—მენშევიკები, დაშნაკელები, მუსავატელები.

თვით მათმა ღონისძიებამაც ვერ მოსპო ის სოლიდარობა და ურთიერთისადმი ლტოლვა, რომელნიც ყოველთვის არსებობდნენ ამიერკავკასიის დაჩაგრულ მშრომელ კლასებ შორის.

11. ამიტომ, რამოდენიმედ მაინც მოითქვა თუ არა სული საბჭოთა რუსეთმა, გაუსწორდა თუ არა მაზე მოწოლილ მსოფლიო კონტრ-რევოლიუციას, ამიერ-კავკასიის ყველა ხალხების მუშებმა და გლეხებმა ერთი მეორეზე აღიარეს საბჭოთა ხელისუფლება, როგორც საჩნის ბუშტები გაქრენ ყველა გადაუჭრელად მოჩვენებული ნაციონალური დავები.

12. ამიერ-კავკასია, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ წარმოადგენდა ფრიად გაალმასებული ნაციონალური მტრობის ასპარეზს, ახლა იძლევა ყველა მრავალრიცხოვანი მისი მოსახლე ხალხების ძმური ერთობის და ინტერნაციონალური სოლიდარობის მაგალითს. საბჭოთა ხელისუფლება, ე. ი. მშრომელების, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება აღმოჩნდა საუკეთესო და ერთად ერთი საშუალება ნაციონალური საკითხის ძირითადი გადაჭრისათვის.

სრული ეროვნული თავისუფლების, ეროვნულ-კულტურული განვითარების და შემოქმედების სრული ფართე, განუსაზღვრელი შესაძლებლობის დროს, ეროვნებათა შორის დამოკიდებულებაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს არა აქვს ადგილი მტრობას და ქიშპობას, არამედ ფართედ ვითარდება ყველა ხალხების თანამშრომლობა და სოლიდარობა.

ყველა ეს სიკეთე მოუტანა ამიერ-კავკასიის ხალხებს საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც ხელმძღვანელობს და მიმართულებას აძლევს კომუნისტური პარტია, მშრომელთა ინტერესების ეს ერთად ერთი და მოუსყიდველი წარმომადგენელი და დამცველი.

და დღეს გახსნილი საქართველოს, აღერბეიჯანის და სომხეთის კომუნისტური ორგანიზაციების საოლქო პარტიული თათბირი, საუკეთესო საწინდარია, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელ მასსების ინტერნაციონალური სოლიდარობა ყოველი საათობით უფრო და უფრო განმტკიცდება, სანამ ფაქტიურად არ ჩამოყალიბდება **ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციად.**

სს. კ. პ, ც. კ. და თბ. კ. საგიტაციო განყოფილება.

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს პირველ არჩევნებზე ბრწყინვალეთ გაიმარჯვა ჩვენმა, კომუნისტურმა პარტიამ.

მუშებო და ჯარისკაცებო! კვლავ ხმა მიეცით რევოლიუციის ბაირალტარს, კომუნისტურ პარტიას! ყველა თქვენი ხმა მის კანდიდატებს!

ძმური კავშირისაკენ

ოსმალეთ-გერმანიის იმპერიალიზმის მსუნაგობის მსხვერპლი შეიქნა 1918 წ. ამიერ-კავკასიის მთლიანობა. იმპერიალიზმის ყურმოჭრილ მონებმა, ქართველ მენშევიკებმა და აზერბეიჯანელ მუსავატელებმა ბატონის კარნახით გათიშეს ამიერ-კავკასიის მშრომელთა საერთო რევოლიუციონური ოჯახი, დააქუცმაცეს მთლიანი მხარის სამეურნეო ტერიტორია, მაღალი კედლებით გადაღობეს „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკები, რათა ოქტომბრის რევოლიუციის ტალღას არ გადმოელახა კავკასიის ქედი და არ წაელეკა საერთაშორისო რეაქციის ეს ახალი საბუდარი.

ინგლის-საფრანგეთმა შემუსრა გერმანიის კოალიციის ძლიერება და მისი ადგილი დაიკავა. ახლო აღმოსავლეთის და აზიის შესავალი კარი, საქართველო, მაგრათ გადირაზა და მას დარაჯათ დაუდგა მსოფლიო იმპერიალიზმის ნაგაზებთან ერთად პატარა ფინიაც—ქართველი მენშევიზმი.

სამი წელიწადი-გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა. კონტრ-რევოლიუციის ისრები, აქედან გასროლილი, მწარეთ ესობოდენ საბჭოთა ხელისუფლებას ჩრდილო-კავკასიაში, დაღესტანში, აზერბეიჯანში და სომხეთში.

მაგრამ ისტორიის ჩარხის გადატრიალებამ აუცილებელი ნორმალური ვითარება აღადგინა: მთელი ამიერ-კავკასია ეზიარა საბჭოთა ხელისუფლებას, მშრომელთა დიქტატურის მოახლოვებამ ინგლის-საფრანგეთის ძალა გაანიავა, შემდეგ თან გააყოლა ქართველ ზენშევიკების ბატონობაც.

ბრძოლა არ გათავებულა ჯერ, ბრძოლა თავდაცვითი, ბრძოლა მოგერებითი გრძელდება. მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვება მოუღებს მხოლოთ მას ბოლოს.

ბრძოლა ითხოვს სიმაგრეს, სიმტკიცეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ თანამშრომლობაში, მჭიდრო კავშირში. იქ, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დროშა ფრიალებს, სადაც მშრომელნი არიან გაბატონებული, იქ გათიშვა, განთვითება შეუძლებელია.

იქ, სადაც მშრომელთა მასსების ბრძოლას ხელმძღვანელობს ინტერნაციონალური პარტია, ხალხთა ძმური კავშირი, მათი სოლიდარობა თავისთავად იგულისხმება. პრინციპიალურათ ამაზე დავა ან კამათი ყოვლად წარმოუდგენელია. ბუნებრივია მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლა კავშირის გატარების ფორმების შესახებ, აწონ-დაწონა ძალთა განწყობილების, მშრომელთა სულისკვეთების-

ამ მიზნით იკრიბებიან დღეს თბილისში ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ისინი ჯამს გაუკეთებენ ფედერაციის სასარგებლოთ ჩატარებულ კამპანიის შედეგებს აზერბეიჯანსა, სომხეთსა და საქართველოში. ისინი გამოიტანებენ განაჩენს ამ შედეგების მიხედვით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს განაჩენი იქნება მხოლოდ დადასტურება იმ დადგენილებების, რაიც გამოიტანეს ცალ-ცალკე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებმა და ორგანიზაციებმა.

საბჭოთა საქათრველო, რომელიც ყველაზე უფრო ეჭვს იწვევდა ზოგიერთ ამხანაგში, დღეს უკვე თვითგამორკვეულია ამ საკითხში: როგორც პარტიულმა, ისე უპარტიო მასსამ სავსებით გამოააშკარავა თავისი ნამდვილი სახე: ფედერატიული კავშირი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა მორიგ, აუცილებელ ნაბიჯათაა აღიარებული ყველგან და ყველა ჯანსაღ პოლიტიკურ ელემენტებისაგან.

მორიგი ნაბიჯი გადადგმულ უნდა იქნეს. საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი უნდა განხორციელდეს, ფედერაციის სხივებში უნდა გაეხვიოს მშრომელთა დიქტატურის მატარებელი, განთავისუფლებული ამიერ-კავკასია.

არჩევნები თბილისის საბჭოში

დიდი უმრავლესობით, ხშირათ თითქმის ერთხმათ, თბილისის მშრომელთა მასები თავიანთ მრავალ რიცხოვან კრებებზე ირჩევენ საბჭოში კომუნისტებს

მბეჭდავთა კავშირი აღფრთოვანებით ხმას აძლევს კომუნისტებს

მბეჭდავთა კავშირის წევრთა საზოგადო საარჩევნო კრება 4 ნოემბერს იყო ერთი დიადი დემონსტრაცია რევოლიუციონური ენტუზიაზმის, ტრიუმფი ჩვენი პარტიისა და საბოლოო დასამარება მენშევიკურ-ნაციონალისტური ტრადიციის ამ კავშირში. მბეჭდავთა პროფესიონალური ორგანიზაცია იყო საქართველოს მუშების ერთად-ერთი მნიშვნელოვანი გაერთიანება, რომელიც მწვავედ განიცდიდა მენშევიკური ძალმომრეობის გამათახსირებელ გავლენას. კავშირის შემადგენლობის კვალიფიციური, არისტოკრატიული უმცირესობის და კედია-ხელაძეების თარეში—აი რა ამაგრებდა და ჰკვებავდა ამ გავლენას იქ, ისევე როგორც ამას ჰქონდა ადგილი რამოდენიმე სხვა კავშირებშიც. ერთი ამ უკანასკნელთაგანი იყო სხვათა შორის რკინისგზელების ორგანიზაციაც. ეს ორი კავშირი იყო ორი უმთავრესი დასაყრდნობი ბაზა მენშევიკების ბატონობის საქართველოს მუშებში და ყველაზე უფრო საგრძნობი კი ეს ბატონობა და ძალადობა შეიქნა თბილისში. სწორეთ ბატონობის ამ განსაკუთრებულმა, ჭეშმარიტათ კედია-მენშევიკურმა მეთოდებმა დაჰბადეს ადრე ჯერ ყრუ უკმაყოფილება, რომელიც თანდათან აშკარა ხდებოდა კავშირის მასიურ შემადგენლობაში. ჩვენი ამხანაგების დაუღალავმა რევოლიუციონურმა მუშაობამ, მიუხედავათ მათი განუწყვეტელი დევნისა, ხელი შეუწყო ამ უკმაყოფილების სულ უფრო და უფრო გაღრმავებას და უკვე მენშევიკების რეაქციის დროს მან მიიღო მათთვის სასკანდალო გამოხატულება, როდესაც წარსული წლის მიწურულში კავშირის საერთო კრებაზე გამგეობის არჩევნების დროს მენშევიკებმა განიცადეს სასტიკი დამარცხება და ჩვენმა პარტიამ ბრწყინვალე გამარჯვება. ეს იყო პირველი დიდი გაფრთხილება მენშევიკებისადმი. თავის დროზე ამ ამბავმა გამოიწვია მთელი ალიაქოთი მენშევიკებში და მათ გაზეთებში და კვლავ გაშმაგებული დევნა ჩვენი ამხანაგების. თებერვლის გადატრიალების შემდეგ სხვა პროფორგანიზაციებიდან ერთათ მბეჭდავთა კავშირმაც თავისუფლათ ამოისუნთქა და საშუალება მიეცა მის მასიურ შემადგენლობას, უმთავრესათ მის უპარტიო ელემენტებს, ბრძოლის და თვით გამორკვევის თავისუფალ პირობებში გამოეაშკარავებიათ თავისი სახე. ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნიმუში ამ შინაური მუშაობის მივიღეთ ჩვენ წარსული სექტემბრის შუა რიცხვებში, როდესაც კავშირის წევრთა საზოგადო კრებამ კვლავ მიანიჭა გამარჯვება კომუნისტურ ფრაქციას. მბეჭდავთა მასების ეს ევოლიუცია შეიძლება დათავებულათ ჩაითვალოს უკვე დღეს, როდესაც თავის მასიურ ჯერ კიდევ არნახულ მრავალ რიცხოვან საარჩევნო კრებაზე, რომელსაც დაესწრო 600 წევრი ერთხმათ მიღებულ იქნა კომუნისტების მიერ წარდგენილი კანდიდატთა სია. კრებამ აირჩია ექვსი ჩვენი ამხანაგი და ერთიც მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი კანდიდატათ.

მენშევიკების ერთი ძველთა ძველი სიმაგრე ძალადობითა და კავშირთა ჭეშმარიტ სოლიდარობის გამათახსირებელი მუშაობით აგებული საბოლოოთ დაინგრა, უკეთესათ რომ ვსთქვათ დაინგრა მენშევიკების გავლენა ამ მუშათა სიმაგრეში და მკვიდრო საფუძველი ჩაეყარა რევოლიუციონურ ორგანიზაციას, რომელიც მოწოდებულია სხვა წარმოებითი კავშირებთან ერთათ აწარმოოს თავისი დარგში მუშაობა ქვეყნის ასაღორძინებლათა და რევოლიუციონური წესრიგის განსამტკიცებლათ.

მბეჭდავთა კავშირმა მოგვცა 4 დეკემბერს დიადი მაგალითი თავისი ერთსულოვანი რევოლიუციონური გამოსვლით. სხვა კავშირებიც თბილისში მიჰბაძავენ მას, უკუ აგდებენ გამათახსირებელ ტრადიციას მენ-

---

თბილისის მუშებმა ღირსეულათ დააფასა პროვოკატორ-ჭორიკანა მენშევიკები და ყველა მათი ამყოლ-დამყოლი სოციალ-ნაციონალისტები, ნგრევისა და ანარქიის ეს შავი მოციქულები. ჩვენ ხალხს ერთი ხმაც არ ემეტება მათთვის,

კვლავ ზიზღი პროვოკატორებს და იმპერიალისტური რეაქციის ლაქიებს.

არც ერთი ხმა ერთა სოლიდარობის მტრებს!

მუშებო და ჯარისკაცებო! აირჩიეთ საბჭოში კომუნისტები.

საბჭოთა აზერბაიჯანში

ბაქოს საბჭოს არჩევნებში ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს კომუნისტებმა. ხელახლათ არჩეულ საბჭოში არჩეულია სულ ბაქოს მუშებიდან 315 დეპუტატი; აქიდან 17 პროც. უპარტიოა, დანარჩენი ყველა კომუნისტები. ამ რიცხვში არ შედის დელეგატები არმიისა და გლეხებიდან, რადგანაც სათანადო ცნობები ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

შეიკური შავბნელ წარსულისას და მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში გაგზავნიან თფილისის მომავალ საბჭოში თავის პარტიის, საქართველოს კომუნისტური (ბალშევიკური) პარტიის კანდიდატებს. გაუმარჯოს ბეჭდვითი სიტყვის რევოლიუციონურ კავშირს! გაუმარჯოს თბილისის რევოლიუციონურ წარმოებითი პროფკავშირებს!

მბეჭდავთა კავშირში

აღნიშნული კავშირის კომუნისტურმა ფრაქციამ გამოჰყო არჩევნების კამპანიის ჩამტარებელი „სამეული“ რომელმაც ერთი კვირის განმავლობაში გამოუშვა განსაკუთრებული მოწოდება კავშირის წევრებისადმი; მოაწყო რამდენიმე მოხსენებები დიდ დაწესებულება-სტამბებში.

მოხსენებები თუმცა კეთდებოდა მუშაობის („შაბაშის“) შემდეგ, მაგრამ მუშები ივიწყებდენ დაქანცულობას და დიდის ინტერესით უსმენდენ მომხსენებლებს.

კვირას კი 4 დეკემბერს, დილის 11 საათზე, მუშათა ხასახლის დიდ დარბაზში ამხ. ლ. დუმბაძის თავმჯდომარეობით შესდგა კავშირის წევრთა საზოგადო კრება, რომლის მზგავსი არ ახსოვს ჯერ მბეჭდავთა კავშირს. დაესწრო 600 კაცამდე.

დღის წეს-რიგში იდგა: არჩევნები მუშათა საბჭოში. შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. ორჯონიკიძემ. ილაპარაკეს: თ. ღლონტმა, თ. კალანდაძემ აგრეთვე მისასალმებელი სიტყვით მიმართა კრებას ბაქოდან ახლათ ჩამოსულმა ამხ. ეგოროვმა, რომელიც აღნიშნავს რომ 1918 წელში, მშრომელმა კლასმა დაუშვა ბაქოს საბჭოში ესერ-მენშევიკები, მაგრამ მათ მუხანათურათ გასცეს ეს საბჭო, შემოუშვეს ანტანტის აგენტები რომლებიც ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდნენ მუშებს. გაისმა ჰაერში ძველი მათრახის ტყლაშუნი, „გოროდოვოი“-ჟანდარმი და სხვა. ეხლა ბაქოს მუშას არ შეუძლია ძველ გაკვეთილს ანგარიში გაუწიოს: იგი აღარ უშვებს საბჭოში ესერ-მენშევიკებს და თქვენც გაფრთხილებთ არ მისცეთ მათ არც ერთი ხმა!“

გაისმის ხანგრძლივი მქუხარე ტაშის ცემა.

თავმჯდომარე ეკითხება კრებას, თუ ვისმეს აქვს სია გარდა იმისა, რომელიც შემოსულია კომუნისტური ფრაქციის სახელით? სხვა სია არ არის.

უყრიან კენჭს: მთელი ტყე მოხოლიანი ხელების. ვინ არის წინაალმდეგი? არავინ! თავი ვიმ შეიკავა? ერთმა.

ერთის გამონაკლისით კრება ერთხმათ ირჩევს 6 წარმომადგენელს და ერთ კანდიდატს მუშათა საბჭოში; პირველნი ექვსნი—კომუნისტებია, უკანასკნელი, კანდიდატი—მემარცხენე ფედერალისტია. არჩეულ იქმნენ: ლ. დუმბაძე· ალ. ჯილავდაროვი, ვ. ბოლქვაძე, მ. კარპი, კ. ხომერიკი და ვ. ბერბერაშვილი. კანდიდატათ დ. მელაშვილი.

არჩევნებს ტაშით და ურას ძახილით ეგებებიან და კრება იხურება „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

ვანო ბერბერაშვილი.

არჩევნები

— გუშინ ტრამვაის მუშათა კრებაზე, რომელსაც დაესწრო 640 კაცი არჩეულ იქნა 5 კომუნისტი და ერთი უპარტიო.

— მეეზოვეთა და მრეცხავთა კრებაზე, რომელსაც დაესწრო 800 კაცზე მეტი არჩეულ იქნა 3 კომუნისტი და 3 უპარტიო.

— აბანოების მუშა მოსამსახურეთა კრებაზე არჩეულ იქნა ერთი კომუნისტი.

თბილისის მუშებო და ჯარისკაცებო! ყველა თქვენი ხმა კომუნისტური (ბალშევიკური) პარტიის კანდიდატებს! აირჩიეთ საბჭოში კომუნისტები!

ერთაშორის მშვიდობიანობა და პროფკავშირები

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ერთმანეთისაგან ოთხი წლის ძალდატანებითი პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული განცალკევების შემდეგ, რომელმაც მიგვიყვანა მთელ რიგ სისხლიან შეტაკებებამდე საქართველოს, სამხრეთსა და აზერბეიჯანს შორის, კვლავ გაისმა მძლავრი მოწოდება ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმობისთვის.

ამიერკავკასიის პროლეტარიატის და უღარიბეს გლეხობის უფრო შეგნებული ნაწილი, რომელიც მეფის თვითმპყრობელობის დროს აწარმოებდა საერთო ბრძოლას ხალხთა ძმობის სახელით, რომელმაც მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატების ბატონობის დროს მოაწყო მთელი რიგი აჯანყებები საბჭოთა ხელისუფლებისათვის, როგორც ეროვნული მშვიდობიანობისა და ხალხთა ძმობის სიმბოლოსათვის, —მოექცა თუ არა სახელმწიფოს სათავეში, შეუდგა ამ ძმობის პრაქტიკულ განხორციელებას.

მძლავრი გამოძახილით შეხვდა ამიერკავკასიის მუშა და გლეხი თავისი მეთაურის—კომუნისტური პარტიის მოწოდებას მთელი ამიერ-კავკასიის პოლიტიკური და სამეურნეო გაერთიანებისთვის,

ამიერ-კავკასიის ყოველი კუთხიდან მოდის დეპეშები და რეზოლიუციები მრავალრიცხოვან კრებების, რომელნიც აღფრთოვანებით ეგებებიან ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხის პრაქტიკულად დაყენებას.

დღეს კომუნისტური პარტია სდგამს მეორე ნაბიჯს ამ გზაზე, იგი მართავს მთელ ამიერ-კავკასიაში ეროვნული მშვიდობიანობის და ხალხთა ძმობის დღეს.

რანაირია პროფკავშირების ამოცანა ეროვნულ მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში!

მენშევიკურ-მუსავატურ და დაშნაკურ ძალა-უფლების უმძიმეს დროს აზერბეიჯანის თითქმის ყველა პროფკავშირები, საქართველოს და სომხეთის პროფკავშირთა წევრების უფრო შეგნებული ნაწილი აწარმოებდნენ მუდმივ ბრძოლას მთელი ამიერ-კავკასიის მუშების ძმურ კავშირისათვის. მაგრამ ყოველთვის ამ გმირულ ცდებს ფუშავდნენ მენშევიკები,—ასე იყო 1919 წელში, ასე იყო 1919 წლამდე, შემდეგაც.

და თუ, მიუხედავათ ყველი ამ დაბრკოლებათა, ჩვენ მაინც შევუდექით ეროვნული მშვიდობიანობის და ხალხთა ძმობის პრაქტიკულ განხორციელებას, ამაში არა მცირე დახმარება მიუძღვით ამიერ-კავკასიის პროფ-კავშირებს.

პროლეტარულ სახელმწიფოს აღმშენებლობის ფართე სარბიელზე გამოსული პროფ-კავშირები ცოცხლად უნდა გამოეხმაურონ კომუნისტურ პარტიის მიერ გადასროლილ ლოზუნგს: „ეროვნული მშვიდობიანობა და ხალხთა ძმობა“.

არ უნდა დარჩეს არც ერთი წარმოება, არც ერთი დაწესებულება, ადგილობრივი კომიტეტი, ფაბკომი, ქარხკომი, საერთო კრება, კონფერენცია, კავშირთა ყრილობები, რომლებზედაც დღიურ წესრიგში არ იყოს დასმული ეროვნული მშვიდობიანობის საკითხი.

ამიერ-კავკასიის პროფკავშირებმა, რომელნიც აერთებენ 300.000 წევრზე მეტს, თავის მხრებზე უნდა გადიტანონ ეროვნული მშვიდობიანობის კამპანიის გატარების სიმძიმე ფართე მუშურ-გლეხურ მასსებში.

კომუნისტური პარტიასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ჩვენ მივაღწევთ ეროვნულ მშვიდობიანობას და ხალხთა ძმობას.

ი. ფიგატნერი.

კავკასიის უდიდესი სამრეწველო ქალაქის, მაზუთის სამეფოს, ბაქოს პროლეტარიატმა კვლავ კომუნისტები აირჩია თავის საბჭოში! თბილისის მუშები არ ჩამოურჩებიან ბაქოელ ამხანაგებს! აირჩიეთ საბჭოში კომუნისტები! არც ერთი ხმა მოწინააღმდეგე პარტიებს!

ფედერაციისთვის

საქართველოს მუშები მხარს უჭერენ ფედერაციას

ბათომის პროლეტარიატის სიტყვა.

26 ნოემბერს ცენტრალურ მუშათა კლუბში მოხდა მრავალ-რიცხოვანი პროფ. კავ. გამგეობათა, საქარხნო კომიტეტებისა და ადგილობრივ კომიტეტების გაერთიანებული კონფერენცია, სადაც გაირჩა ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხი.

ამხ. პევცოვის მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიდაც კონფერენცია ესალმება კავბიუროს გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ.

კონფერენცია დაიხურა ინტერნაციონალის ჰიმნით.

ს. კ. პ. ბათომის საოლქო კომიტეტის პლენუმის და პასუხის მგებელ მუშაკების რეზოლიუცია.

„ს. კ. პ. ბათომის საოლქო კომიტეტის პლენუმის და პასუხის მგებელ მუშაკების შეერთებულმა სხდომამ ა. წ. 27 ნოემბერს მოისმინა ამხ. ბელენკის მოხსენება ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ და სავსებით უერთდება კავბიუროსა და ს. კ. პ. ცეკას რეზოლიუციებს, და აღნიშნავს რომ ეს დადგენილება აუცილებლათ გამომდინარეობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დღევანდელ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობიდან და საჭიროთ თვლის ამის შესახებ გატარდეს ფართო სააგიტაციო კამპანია პარტიულ და უპარტიო მასებში“.

ბათომის ორგანიზაციათა კომიაჩეიკების მდივნების თათბირის რეზოლიუცია.

„მოისმინა რა ამხ. ბელენკის მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, მდივნების თათბირი, სთვლის ამ საკითხს სავსებით მომწიფებულად, ესალმება კავბიუროს რეზოლიუციას და გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებისათვის მშრომელი მასები გაუწევენ ყოველ გვარ დახმარებას კომუნისტური პარტიის დაწყებულ საქმეს. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას!“

პარტკომის იაჩეიკის რეზოლიუცია.

„მოისმინა რა მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, პარტკომის იაჩეიკა ესალმება ფედერაციას და გამოსთქვამს სურვილს, რომ ამ საკითხის გამო აგიტაცია გატარდეს ფართო მასებში“.

ნავთკომის იაჩეიკის რეზოლიუცია.

„მოისმინა რა მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, იაჩეიკა სთვლის ფედერაციას საუკეთესო საშუალებათ სამეურნეო აღმშენებლობის წარმატებისათვის და ესალმება ფედერაციას“.

პარტიულ სკოლის რეზოლიუცია.

„პარტიულ სკოლის საზოგადო კრებაზე ამხ. ბელენკისა და ბედიას მოხსენების შემდეგ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „რ. კ. პ. კავბიუროს რეზოლიუციას კრება სთვლის წინ გადადგმულ დიდ ნაბიჯათ მშრომელთა მასების გაერთიანების საქმეში, ესალმება ამ რეზოლიუციას და გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ ამიერ კავკასიის შეერთებული ძალები ხელს შეუწყობს პოლიტიკურ და ეკონომიურ წარმატებას“.

ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირში.

25 ნოემბერს „ხოლოდნო სლაბოდსკის“ რაიონში შესდგა ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის კრება. მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბედია. გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია:

„საერთო კრებამ მოისმინა რა ამხ. ბედიას მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, ითვალისწინებს მჭიდრო კავშირით გაერთიანების საჭიროებას ბურჟუაზიულ ქვეყანასთან ბრძოლის საწარმოებლად სამეურნეო აღმშენებლობის წარმატებისათვის, ესალმება ფედერაციას და გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ მუშა-გლეხობის ახალგაზრდობა პირველ რიგებში წინ გასწევს გაერთიანების გზაზე.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ რესპუბლიკების ფედერაციას!

გაუმარჯოს მთელ ამიერ-კავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალურ გაერთიანებას!

გაუმარჯოს კომუნიზმს“!

ქ. ბათომის ბერძნების უპარტიო მშრომელთა პირველ კრებამ ამხ. პიასტოპულოს და კურზიდის მოხსენებების შემდეგ თემაზე „საბჭოთა ძალა უფლება და ნაციონალური საკითხი“, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ქ. ბათომის და მისი ოლქის ბერძნების პირველი უპარტიო კრება ესალმება საბჭოთა ხელის უფლებას, როგორც დამონებულ მცირე ხალხების და მშრომელების ერთად ერთ ჭეშმარიტ განმათავისუფლებელს და დამცველს, სიტყვას იძლევა დაიცვას საბჭოთა ხელის უფლება ყოველივე მსხვერპლის მოურიდებლათ და იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში საბჭოთა ძალაუფლების მთელ მსოფლიოში გავრცელებასთან ერთად, განთავისუფლდება ჩვენი ჩაგრული მოძმეები კაპიტალისტურ ბატონობიდან“.

პასუხის მგებელ მუშაკების თათბირი ფედერაციის შესახებ.

28 ნოემბერს პარტ-კომში, ს. კ. პ. ცეკას წევრის ამხ. ორახელაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ბათომის ორგანიზაციის პასუხის მგებელ ამხანაგების სხდომა.

ფართო და დასაბუთებული მოხსენებით, ფედერაციის საკითხის შესახებ, გამოვიდა ს. ს. ს. რ. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი ამხ. ელიავა, რომელმაც უმთავრესად აღნიშნა ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციულათ დაკავშირების ეკონომიური პირობები.

მთელ რიგ. შეკითხვების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ბათომის ოლქის პასუხისმგებელ მუშაკების თათბირმა მოისმინა ამხ. ელიავას მოხსენება, ესალმება რ. კ. პ. ცეკას კავბიუროს რეზოლიუციას და ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ და პოლიტიკურ მჭიდრო კავშირს სთვლის ერთად ერთ გამოსავლათ შექმნილ ეკონომიურ პირობებიდან. და რომ იგივე კავშირი აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკების დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობისა და მშრომელ მასების ინტერესებისათვის“.

ასურეთის რაიონში.

ასურეთის რაიკომიდან საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის ცეკას მოუვიდა შემდეგი დეპეშა:

„ასურეთის რაიკომის წევრების საერთო კრებამ მოისინა რა თქვენი მიზან შეწონილი დადგენილების ცნობა კავკასიის ფედერატიულად შეკავშირების შესახებ, გამოსთქვამს სურვილს ყოველი ღონის ძიებით ხელი შეუწყოს როგორც ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას, ისე სხვა ასეთივე დადგენილებებს“.

საფაროვის თამბაქოს ქარხანაში.

ყოფილ საფაროვის თამბაქოს ქარხნის (თბილისში მუშების საერთო კრებამ მოისმინა ამხ. სურხატიანის მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, ერთხმად დაადასტურა რ. კ. პ. ცეკას კავბიუროს დადგენილება და სთვლის ამიერ-კავკასიის ძმურ რესპუბლიკების გაერთიანებას დროულიდ.

სომხეთში.

ერივანის ორგანიზაციების დეპეშა.

რ. კ. პ. ცეკას კავბიუროს სახელზე მოვიდა შემდეგი დეპეშა: „ერევანის კომპარტის ცეკას ორგანიზაციისა, სახალხო კომისართა საბჭოსა,- რევკომისა და პროფ.-კავშირების პრეზიდიუმების შეერთებული სხდომა ადასტურებს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ძლიერება მდგომარეობს მათ გაერთიანებაში. საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი გადააქცევს მათ დაუძლეველ ძალათ შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ფედერატიული საბჭოთა კავკასია შეაერთებს ყველა ცოცხალ ძალებს და გადაექცევა მუშათა რევოლიუციის მოწინავე პოსტად, რომელიც ბოლომდე დაიცავს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და სამეურნეო წარმატებას. კომუნისტურ რევოლიუციის წლის თავზე სომხეთში შეერთებული სხდომა ესალმება აზერბეიჯანის და საქართველოს ძმურ რესპუბლიკების მშრომელებს, სავსებით ადასტურებს კავკასიის კომისიის მიერ შემუშავებულ ხელშეკრულების პროექტს და პოულობს, რომ მის ცხოვრებაში განსახორციელებლათ აუცილებელია ახალი მომავალში კავკასიის ორგანიზაციების კონფერენციის მოწვევა. კრების თავმჯდომარე საფარასბეკოვი.

ბათომის პროლეტარიატი ფედერაციის შესახებ.

26 ნოემბერს მრავალრიცხოვან მუშათა კონფერენციაზე დასმული იყო საკითხი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბათომის პროლეტარიატმა თავისი ხმა შეუერთა საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის ხმას აღნიშნულ საკითხის შესახებ.

ბათომის პროლეტარიატი თავისი შეგნებით, რევოლიუციონური წარსულით და აწმყოთი ცნობილია, როგორც ავანგარდი განმანთავისუფლებელი მოძრაობისა არა მარტო საქართველოში, არამედ უფრო ფართო მასშტაბითაც.

ამიტომ მის ხმას, მის სიტყვას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

საერთაშორისო და ეკონომიური ვითარება თხოულობს, რათა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები მტკიცე კავშირით იყვნენ შეკრულნი. ეს აზრი მთელის თავის არსებით შეიგნო ამიერ-კავკასიის მუშათა კლასმა.

ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად ისეთ ურთიერთობაში იმყოფება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან, რომ მათი შეკავშირება, მათთვის ერთი ეკონომიური გზის გამონახვა უტყუარი გარანტია იქნება სამეურნეო ფრონტის გამაგრებისა.

ეს უდავო დებულება კარგად შეიგნო ჩვენმა მუშათა კლასმა და თავისი გადაწყვეტილებით მხარში ამოუდგა უმაღლეს პარტიულ ორგანოს.

ჩვენთვის, მუშათა კლასის პარტიისათვის უმთავრესი პრინციპია მშრომელი ხალხის ინტერესების სწორი გაგება და ამ ინტერესების მიხედვით სამოქმედო გზის აღება.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მჭიდრო კავშირი, ჩვენის ღრმა რწმენით, გარდა იმისა, რომ ხელს შეუწყობს მოკავშირე ქვეყნების ეკონომიურად აღორძინების საქმეს—განამტკიცებს მათ საერთაშორისო ვითარებას და უძლეველად გახდის მას მსოფლიო იმპერიალიზმის თავდასხმისაგან.

ყოველივე ეს კარგად შეიგნო ბათომის მუშათა კლასმა, ალლო-აულო მომენტის სიდიადეს და შესაფერი დადგენილება მიიღო აღძრულ საკითხის შესახებ.

ბათომის პროლეტარიატის გადაწყვეტილება ერთხელ კიდევ ნათელს ჰყენს ჩვენი მუშათა კლასის მთლიანობას, ერთსულოვანებს და თავის ინტერესების სწორად გაგების უნარს.

დაე ჩვენმა მტრებმა დაინახონ თუ რა შეუძლია გაერთიანებულ მუშათა კლასის ძალას! „უწყ.“

თბილისი·

1 ყოფ. თაიროვის, ალიხანოვის და ტოლლეს საბჭოთა პირველი ზეთისა და საპნის ქარხნების, 2. მახმედბეკოვის ფაბრიკების, 3 ზლატოგორის და მთავრობის 4 ფაბრიკის მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ნადჟაფოვის მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ და დაადგინა: „კრება სავსებით ადასტურებს რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს ნაბიჯს და ჰპოულობს მას დროულად. სამეურნეო და ეკონომიური ნგრევა შედეგია მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების მუშაობისა. ისინი განზრახ თიშავდენ ყველა ამ რესპუბლიკების პროლეტარიატს და ამით დიდი სამსახური გაუწიეს კონტრ-რევოლიუციონურ ანტანტას. მაგრამ ყველა ამ რესპუბლიკებში საბჭოთა სისტემის დამყარების შემდეგ

საქართველოს განსაკუთრებული კომისიის ცნობა

საქართველოს განსაკუთრებულ კომისიის მიერ მოხდენილმა უკანასკნელმა დატუსაღებამ გამოიწვია მთელი რიგი პროვოკაციული ხმების გავრცელება იმ პარტიათა აგენტებისაგან, რომლების ვერაგი. მუშაობაც საბჭოთა ხელის უფლების წინააღმდეგ უკვე ჩაშლილია. უკანასკნელ დატუსაღების მიზეზების ფართოდ გამოსაქვეყნებლათ და ყოველ გვარ ჭორებისა და პროვოკაციულ ხმების გასაფანტავად საქართველოს საგანგებო კომისია აცხადებს:

მენშევიკების მუშაობა.

საქართველოში საბჭოთა ხელის უფლების დამყარების შემდეგ, ყოფილი გაბატონებული მენშევიკური პარტია არ სწყვეტდა თავის მუშაობას საბჭოთა ხელის უფლების ძირის გამოსათხრელად და დასამხობათ და დაიწყო არა ლეგალური მოქმედება. საზღვარ-გარეთ გაქცეულმა მენშევიკების ლიდერებმა ჟორდანიამ, რამიშვილმა, ჩხეიძემ და სხვა იქიდან დაიწყეს საქართველოში არა ლეგალური მუშაობის ხელმძღვანელობა და ამავე დროს იწვევდენ უცხოეთის ჯარებს საქართველოში საბჭოთა ხელის უფლების ჩამოსაგდებათ (ჟორდანია—ჩხეიძის მოწოდება, ჟორდანიას მოგზაურობა ბელგიაში, ინგლისში და სხვ.) მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი იღებდა თავის საზღვარ გარეთელი ამხანაგებისაგან სტამბოლის პოლიტიკურ ბიუროს საშვალებით ცირკულიარულ წერილებს, ჩვენებებს, ფულს და მოქმედებდა ერთიანად მათი დირექტივების თანახმად. ბათომის ოლქის განსაკუთრებულ კომისიამ ხელში ჩაიგდო რამოდენიმე ასეთი წერილი, სადაც ჟორდანია და სხვები აღნიშნავდენ თუ როგორ უნდა წარმოებდეს მუშაობა და რა ტაქტიკა უნდა დაიცვას მენშევიკებმა საქართველოში. ამავე დროს წინადადებას აძლევდენ ცენტრალურ კომიტეტს აღედგინათ არა ლეგალური ორგანიზაციები, ჩაევგდოთ ხელში საბჭოთა დაწესებულებები და მზად ყოფილიყვენ ძალა უფლების დასაპყრობათ. სტამბოლიდან ისინი იღებენ აგრეთვე საზღვარ გარეთ გამოსულ ჟურნალს „თავისუფალი საქართველოს“ რომელსაც აგზავნიდენ რესპუბლიკის მაზრებში. გადმოგზავნეს ასეთი ჟურნალების 11 სხვა დ სხვა პერიოდული ნომერი ასეული ეკზემპლიარი. ამას გარდა იმავე სტამბოლს პოლიტიკურ ბიუროს საშვალებით გადმოგზავნეს საქართველოში პროვოკაციული პროკლამაციები სათაურით „რუსეთის კომუნისტური პარტიის გათიშვა“, „ჟენევის კონგრესის რეზოლიუცია“ და სხვა. ასეთი პროკლამაციები აღმოუჩნდა ბევრ დატუსაღებულ მენშევიკს და კერძოდ თორაძეს და მეხუზლას. მართლაც, ცენტრალური კომიტეტი სარგებლობდა საქართველოს რევკომის სულგრძელი ამნისტიით და შეუდგა საზღვარ გარეთელი დირექტივების ცხოვრებაში გატარებას; მან დაიწყო კონტრ-რევოლიუციონური ძალების ორგანიზაცია და ვერაგი პროვოკაციების მოწყობა ბათომში, ქუთაისში და რესპუბლიკის სხვა ცენტრებში. მენშევიკების არა ლეგალურ ორგანიზაციებმა დაიწყეს საბჭოთა ხელის უფლების სისტემატიური პროვოკაცია, ავრცელებდნენ უაზრო ხმებს, აშინებდენ მცხოვრებლებს, მოუწოდებდენ გლეხებს არ შეესრულებიათ დეკრეტი სასურსათო გადასახადის შესახებ და სხვ. განსაკუთრებული კომისიას აქვს ნამდვილი ფაქტები და დოკუმენტალური ცნობები, რომ მენშევიკები ეწეოდენ პროვინციებში ასეთ პროვოკაციულ მუშაობას.

განსაკუთრებულმა კომისიამ თბილისში დაატუსაღა რუსთაველის პროსპექტზე და 19 თებერვლის ქუჩაზე აქტიურ მენშევიკების მთელი რიგი არა ლეგალურად მომუშავეები, რომლებმაც განსაკუთრებულ კომისიაში განაცხადეს, რომ ისინი არიან „მუშათა დელეგაცია“. როდესაც მოვთხოვეთ წარმოედგინათ მანდატები და კრების ოქმები, სადაც ისინი აირჩიეს დელეგატებათ, მათ ვერაფერი ვერ წარმოადგინეს და ამ ჟამათ გასამართლდებიან როგორც ყალბი სახელის მატარებელი პირები, რადგანაც მთელმა თბილისის პროლეტარიატმა კატეგორიულათ დაადასტურა, რომ მას არავითარი დელეგაცია არ ამოურჩევია და არავისთვის არ დაუვალებია მისი სახელით ელაპარაკა.

— გარდა „მუშათა დელეგაციისა“ ცენტრალური კომიტეტი ცდილობდა გამოეწვია საერთო გაფიცვა საქართველოს ტერიტორიაზე—უმთავრესად რკინის გზებზე და ამით საბოლოოდ მოეშალა სახალხო მეურნეობა, გამოეწვია მეშჩანურ ინტელიგენციის უკმაყოფილება და გამოეყენებიათ მათივე მუშაობით გამოწვეული სასურსათო კრიზისი. ამ გაფიცვისათვის ცენტრალური კომიტეტი დაფუძნებულათ ემზადებოდა და მან მოახდინა მაგისტრალის ქუჩაზე, გვარდიის ყოფილი ოფიცერის გრძელიშვილის ბინაზე რამოდენიმე თათბირი ამ საკითხის შესახებ, ამასთან, რომ გამოეწვიათ მუშების უკმაყოფილება განზრახ, მოაწყვეს რკინისგზელებისათვის პურის მიცემის შეჩერება. გაფიცვისათვის დანიშნულ დღეს—1 ნოემბერს მოგზავნილი აგენტები მოდიოდენ წარმოებებში და მუქარით წინადადებას აძლევდენ მუშებს თავი დაენებებიათ სამუშაოსათვის. ასეთი შემთხვევები იყო: ფოსტა-ტელეგრაფში, სადაც ღამის 11 საათზე მოვიდა ორი კაცი და მუქარით (ქუჩურ გინებით) წინადადება მიცეს მუშა-მოსამსახურეებს მიეტოვებიათ სამუშაო; ასეთი შემთხვევა იყო რკინის გზებზეც. განსაკუთრებულ კომისიის დოკუმენტებით უდავოთ გამორკვეულია, რომ მუშაობა მიატოვა მხოლოდ მენშევიკებმა (მოგვყავს რამოდენიმე ციფრი: მედელთა ცეხში—261 კაციდან მუშაობა მიატოვა 24 კაცმა. ქვაბების მკეთებელთა ცეხში—137 მუშიდან, მუშაობა მიატოვა 5. ხარატების ცეხში —450 მუშაობა მიატოვა 82, ამ რიცხვში შედის ადრევე წასული მენშევიკები. შემკრებ ცეხში—369 კაციდან მუშაობა დასტოვა 76 კაცმა). ასეთივე მუქარით და მოტყუილებით კრებდენ ისინი ხელის მოწერილებს ორთაჭალის რაიონში, ნემსის ფაბრიკაში და სხვა ადგილებში ვითომდა რევკომში და 2 ნახ. ინტერნაციონალში წარსადგენათ. სამუშაო ფულს იღებდენ როგორც თავის ორგანიზაციის წევრებისაგან ისე ჟორდანია, რამიშვილის მეფობის დროს გასუქებულ სპეკულიანტებისაგან და ამასთანავე იძლეოდენ ფულის მიღების კვიტანციებსაც ბეჭედით, რომელზედაც გამოხატული იყო ვენახის ტოტები და ფოთლები. ასეთი ჩეკებით კრებდენ ფულებს თბილისში, გურჯაანში და სხვ. ადგილებში. ამასთან ორგანიზაციის წევრებს გურჯაანში შემოკრებილათ 10,000 მან. საწევრო გადასახადი. წითელ არმიის ნაწილების ბინადრობის გასაცნობათ შემდგარი იყო „შავი კაბინეთი«, მემარჯვენე ფედერალისტი მარკოზ ტულუშის მეთაურობით, რომელსაც ჰქონდა კავშირი მენშევიკებთან. დასახელებული ტულუშში იღებდა ყველა დეპეშებს და იტოვებდა მათ ასლებს. დატუსაღების დროს მას აღმოაჩნდა 32 დეპეშა. ასეთ პროვოკაციულ მუშაობასთან ერთად არა ლეგალური ორგანიზაციები ბეჭდენ პროვოკაციულ დაბალ ხასიათის ფურცლებს, როგორც მაგ. »ამხ. ბიძია«. ამ ფურცლებს ავრცელებდენ თბილისში და პროვინციებში, ამავე დროს აგროვებდენ იარაღს, ამყარებდენ კავშირს ბანდებთან, რომლებიც მოქმედებდენ მთებში, რაზედაც ადგილობრივი ორგანიზაციები დასტურს იღებდენ ცეკადან. ასეთი კავშირი დამყარებული იყო თელავის მაზრის და ქუთაისის გუბერნიის ბანდებთან, სადაც იგზავნებოდენ სპეციალური პირები. ასეთივე პირები იგზავნებოდენ პროვინციებში არალეგალურ ორგანიზაციების აღსადგენად. მარტო თბილისში მოხდენილმა ოპერაციამ მოგვცა ფართო მასალა, რომელიც ადასტურებს მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას. აღმოუჩნდა და ჩამოერთვათ: ფირაძეს, სირაძეს, კოჩიაშვილს, ანდღულაძეს, გოგნიევს, თევზაძეს, ჟღენტს, დოლიძეს, ხოჩიაშვილს, ქართველიშვილს, ცაგარეიშვილს, პეტროსიანს, ამირხანიანს, პირუმოვს, ავეტისიანს და რუსიაშვილს—ვინტოვკები, პატრონები, რევოლვერები, ხმლები, ბომბები, ბრილიანტები, ალმასი, ოქრო, ასი მილიონი ფული, რომლიდანაც 50 მილიონი მუსავატელების ფულია და ნახევარი ფუთი სპილენძის ფულები.

დატუსაღების მეორე დღეს ხელში ჩაგვივარდა დატყვევებულების ნაცნობებთან გაგზავნილი წერილები, სადაც ისინი ითხოვდენ დარჩენილ დოკუმენტების „ზედმეტ ქაღალდების მოსპობას“. ჩვენ ხელში არსებული მიწერ-მოწერა და დოკუმენტები ნათლად ადასტურებენ მათ მუშაობას და შეძლებისდა გვარად იქნება გამოქვეყნებული.

საქართ. განსაკ. კომის. თავმჯდომარე კ. ცინცაძე.

პროლეტარიატის წინაშე დადგა საკითხი გაერთიანების შესახებ და ბოლოს, კავბიურომ გადასწყვიტა ეს საკითხი. ჩვენ ყველას გვწამს, რომ ფედერაცია ნამდვილი თავდებია მთელი პროლეტარიატის და პროლეტატულ რევოლიუციის კეთილდღეობისა ჩვენ ყველა შევეცდებით გავატაროთ ცხოვრებაში ამ ხელშეკრულების ყველა მუხლები, რადგანაც ეს ფედერაცია აახლოვებს ერთმანეთთან ამიერ-კავკასიის და რუსეთის პროლეტარიატს. გაუმარჯოს ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ყველა ძალების გაერთიანებას და შეკავშირებას! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელმაც მოსპო ნაციონალური შუღლი'!

— „ჩვენ, თამბაქოს ფაბრიკის „სპილოს“ მუშებმა მოვისმინეთ ამხ. ფირალოვის მოხსენება და ვამბობთ, რომ ყოველი ძალა ერთობაშია, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პროლეტარიატი გაიმარჯვებს ფედერაციის საშუალებით ეკონომიურსა და მეურნეობის აღმშენებლობის გზაზე, ერთხმად ვესალმებით კავბიუროს მიერ გადადგმულ ნაბიჯს, რომელსაც მივყევართ ჩვენ ძმური კავშირისა და ყველა საბჭოთა რესპუბლიკების აყვავებისაკენ. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას! გაუმარჯოს დიდ საბჭოთა რუსეთს!“

—

ჩვენ, ა. ზარგარიანცის, ფ. ვარტარიანცის და ძმ. ბასენცოვის ქარხნების მუშებმა მოვისმინეთ ამხ. მამედ ჯაფარლის და ფარტაპედინის მოხსენებები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შესახებ, მხურვალეთ ვესალმებით ამ რესპუბლიკების ფედერაციას, რომელიც მიმართულია მეურნეობის აღსადგენად და გასავითარებლათ. ფედერაცია დაიცავს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მუშა-გლეხთა ხელისუფლებას შინაურ და გარეშე კონტრრევოლიუციის თავდასხმისაგან და ის საბოლოოდ ამოსწყვავს ამიერ-კავკასიის მუშა-გლეხების სულიდან ნაციონალიზმს, რომელიც გაალვივა დაშნაკელებმა, მენშევიკებმა და მუსავატელებმა“.

ყოფილ ალიხანოვის საბჭოთა პირველ ტყავის ქარხნის მუშების საერთო კრებამ მოისმინა ამხ. კალანდაძის მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, სრული სიამოვნებით ესალმება რ. კ. პ. ც. კ. კავაიუროს დადგენილების თანახმად ამიერ-კავკასიის ხალხების პოლიტიკურ და სამეურნეო ძმურ გაერთიანებას, რადგანაც ის დარწმუნებულია, რომ ეს გაერთიანება უზრუნველყოფს ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის გამარჯვებას სამეურნეო და პოლიტიკურ ფრონტებზე. გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მუშებისა და გლეხების ძმურ კავშირს! გაუმარჯოს ძმური პოლიტიკის ხელმძღვანელს სახელოვან კომუნისტურ პარტიას!“

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

ლოიდ ჯორჯის მოკვლის განზრახვა.

მოსკოვი, 3 დეკემბერი. (რადიო): მძიმედ დასჭრეს ციხეში კომუნისტი ლოვე, რომელსაც წაუყენეს ბრალდება მარტის აჯანყების ორგანიზაციის მოწყობისა ბერლინში. ლოვე ეკუთვნოდა კომუნისტ—ყუმბარის მფრქვევთა ჯგუფს. გამოძიებამ გამოარკვია აგრეთვე, რომ ლოვეს უნდა მოეკლა ლოიდ-ჯორჯი. ლოვე დასჭრეს, როცა გაქცევა დააპირა და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა გზაზე. გერმანიის მთავარ ბრალმდებელმა წინადადება მისცა ლოვეს შესახებ გამოძიების მოსპობაზე, მაგრამ ამასთან ერთად ბრალდება წაუყენა კომუნისტურ გაზ. „როტე ფანეს“, იმ ქების შესახებ, რომლითაც გაზეთი იხსენებდა ლოვეს, გერმანიაში არსებულ წესწყობილების დამხობის მოწოდებისთვის.

პოლიტიკური ცხოვრება გერმანიაში.

ნაუენი. 3 დეკემბერი (რადიო. გერმანიის ნაციონალურმა პარტიამ შეუძლებლად სცნო თვის მუშაობა გერმანიის კოალიციურ პარტიებთან. ამ მუშაობის წინააღმდეგ გაილაშქრა აგრეთვე კათოლიკეთა პარტიამ. ამის გამო გერმანიის პოლიტიკურ პარტიათა შორის დიდმა უთანხმოებამ და რასკოლმა იჩინეს თავი.

ქრონიკა

◆ **ბათომის ნავთსადგურში.** ნოემბერს მოვიდა ჰმანუილიდის სააგენტოს გემი „შეფელდი“ 580 ტონი ტვირთით და 25 მგზავრით: იალქნიანი ხომალდი მოვიდა 2, გავიდა იალქნიანი და საბუქსირო ხომალდი 84920 ფუთი ნავთით. 7 დეკემბერს მოელიან ლონდონიდან გემ „გიურბოს», რომელიც მოდის 6500 ფუთ კეროსინის წასაღებად. დეკემბრის პირველ რიცხვებში ნიუორკიდან მოვა გემი «ვინკონი“ 250 ათასი ფუთი ფქვილით, დეკემბრის ნახევარში ლონდონიდან მოვა გემი „ტრედენგამი“ 6 ათასი ფუთი ხორბლით, რომელიც ლონდონშია ნაყიდი.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატში.** საქართველოს ს. ს. რ. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარი ალექსანდრე ყამარაული დაინიშნა კავკასიის ცალკე ლაშქრის კავშირის უფროსათ, თავის თანამდებობაზე დატოვებით.

◆ გამოვიდა მეხუთე ნომერი სახ. სასურსათო კომისარიატის ბიულეტენისა. ჟურნალი შეიცავს 20 გვერდს ქართული და რუსული ტექსტით. ჟურნალის არა ოფიციალურ ნაწილში მოთავსებულია წერილები. რომელნიც არკვევენ სახელმწიფოს ეკონომიურ და სამეურნეო კითხვებს.

◆ ორშაბათს 12 დეკემბერს გამოვა ყოველ-კვირეული „ცისფერი ყანწების“ პოეტების გაზეთი „**ბარრიკადი**“ პოეზია, ესტეტიკა, პოლიტიკა. რედაქტორი: **ტიციან ტაბიძე.** მისამართი: რუსთაველის პრ. № 24 ტელ. 7—99.

◆ სამშაბათს 6 დეკემბერს მოხდება საზეიმო გახსნა პოეტების და მწერალთა კლუბის ,,**ქიმერიონი**''-ს სიტყვებს იტყვიან: **პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე.** ,,კაფეს სტილი'', ,,პოეზია და ბოგემა''. საუკეთესო არტისტები: ოპერის, დრამის, ბალეტის შესრულებენ განსაკუთრებულ პროგრამას. პოეტები წაიკითხავენ ლექსებს, იქნება ლექსების გამოფენა. დღისით და ღამით დაუკრავს ორკესტრი. მაგიდებზე ჩაწერა მიიღება იქვე, რუსთაველის პროსპექტი № 21.

რევკომების ყრილობა

რეზოლიუციები

„მოვისმინეთ რა მოხსენება მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ქოქაშვილისა, სახალხო კომისარიატის მოქმედების შესახებ, რევკომების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეების ყრილობამ დაადგინა: 1) მოხსენება ჩაითვალოს არა დამაკმაყოფილებლათ, 2. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლლეგიას დაევალოს მთავარ ყურადღების მიქცევა ყველა დეფექტებზე, რომლებიც წამოყენებულ იქმნენ ადგილებიდან, 3) მიღებულ იქმნეს სასწრაფო ზომები ცხოვრებაში ბოლომდის მიწის შესახებ დეკრეტის გატარებისათვის, 4) გაუქმებულ იქმნეს ყველა ის კომმუნები, რომლებიც არ შესდგებიან მშრომელთა მასებისაგან, 5) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ადგილობრივ საადგილ-მამულო კომიტეტების მოქმედებას და დაურიგდეს მათ დირექტივები და ინსტრუქციები ცხოვრებაში საადგილმამულო რეფორმის გასატარებლათ.“

შ. ს. სახ. კომისრის მოხსენების შესახებ

„მოისმინა რა მოხსენება შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა ამხ. კვირკელიასი, რევკომების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეების ყრილობა სავსებით იწონებს საერთოდ და მთლიახად კომისარიატის მოქმედებას, ვინაიდან არსებულ მძიმე ობიექტიურ პირობებში ბევრის გაკეთება ძნელი იყო. კერძოდ, ყრილობა საჭიროდა სცნობს, რათა კომისარიატის მიერ მიღებულ იქმნეს გადამწყვეტი ზომები მილიციის დაუყოვნებლივ შესავსად და საერთოდ ყოველივე საჭიროთი მის მოსამარაგებლათ, აგრეთვე მის პირად შემადგენლობის გამოსაჯანსაღებლათ. მასთახვე ერთად ადგილებზე მომზადებულ საბჭოთა მუშაკების დიდ ნაკლებობის გამო, ყრილობა საჭიროდა რაცხს სთხოვოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შტატის გარეშე დარჩენილ ცენტრის მუშაკების განაწილების შესაფერ მაზრებში“.

ფინანსთა სახალხო კომისრის მოხსენების გამო

„სამაზრო რევკომების თავმჯდომარეების ყრილობა სავსებით იზიარებს ყველა თეზისებს, ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. სვანიძის მიერ წამოყენებულს და რესპუბლიკის ეკონომიურ კრიზისის შესასუსტებლად სთხოვს საქართველოს რევკომს დაუყოვნებლივ შეუდგეს: 1. იმ დაწესებულებათა და განყოფილებათა გაერთიანებას, რომელნიც ასრულებენ პარალელურ ფუნქციებს; 2. რესპუბლიკის განსაზღრული რესურსების გამო, შეუდგეს იმ ზოგიერთ დაწესებულებათა და განყოფილებათა გაუქმებას, რომელთა გაუქმება უზრუნველჰყოფს უსაჭიროეს დაწესებულებათა და ორგანიზაციების ნორმალურ მოქმედებას და 3. შეუდგეს შტატების მინიმუმამდე შემოკლებას.

საბჭოთა აპარატის ასეთ გარდაქმნას საფუძვლათ დაედოს ამხ. სვანიძის თეზისები.

ყრილობა არა რაციონალურათ სთვლის კრედიტების აწინდელ განაწილებას სხვა და სხვა სახ. კომისარიატებ შორის და სთხოვს საქართველოს რევკომს გაადიდოს სახალხო განათლების და შინაგან საქმეთა კომისარიატების კრედიტები სხვა კომისარიატების ხარჯზე, სახელმწიფო ბიუჯეტი გაადიდოს არა ემისიით, არამედ გადასახადების დადებით მოსახლეობის შეძლებულ წრეებზე, ხოლო მუშები და მშრომელი გაანთავისუფლოს გადასახადისგან.

სასურსათო სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო.

მოისმინა რა მოხსენება ამხ. სტურუასი სასურსათო-კომისარიატის მოქმედების შესახებ, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სამაზრო რევკომების თავმჯდომარეთა და მათ მოადგილეთა ყრილობამ დაადგინა:

სასურსათო კომისარიატის მოქმედება ჩაითვალოს არა დამაკმაყოფილებლათ, რადგანაც მასში არ იყო გარკვეული სისტემა და გარკვეული ხაზი. ეს უსისტემობა გამოიხატებოდა მასში, რომ სასურსათო კომისარიატი თავის დამზადებითი ოპერაციებში, ხან ეყრდნობოდა რწმუნებულთა ინსტიტუტს, რომლის უმრავლესობა შესდგება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ არა სასურველათ განწყობილ ელემენტებისაგან, ხან—სამაზრო სასურსათო კომიტეტებს, ხან კოოპერატივებს, და თვით სასურსათო კომისარიატი, როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია არ იყო მოძრავი, ელასტიური და გარემოცული იყო ბიუროკრატიზმის მიუვალ კედლებით. ყრილობა წინადადებას აძლევს სასურსათო კომისარიატს: 1) სასწრაფოთ გაუქმდეს რწმუნებულთა ინსტიტუტი და მათი ფუნქციები გადაეცეს სამაზრო სასურსათო კომიტეტებს და კოოპერატივებს, 2) მიიღოს ზომები დამშეულ მაზრებიდან პურეულის პროდუქტების გამოზიდვის მოსაწესრიგებლათ, 3) მიიღოს ყოველგვარი ზომები დასავლეთ-საქართველოს მოსალოდნელ შიმშილისგან დახსნისათვის, 4) მიიღოს ზომები დასავლეთ საქართველოში სიმინდის შესასყიდად რომელიც შემოდგომაზე გამოაქვთ გლეხებს ბაზარზე და ყიდიან იაფ ფასში, 5) შეიცვალოს ზოგიერთ მაზრებისათვის სასურსათო გადასახადის კატეგორია, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს“.

განათლების კომისარიატის მოხსენების გამო.

„მოისმინა რა მოხსენება ამხ. კანდელაკისა განათლების კომისარიატის მოქმედების შესახებ, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სამაზრო რევკომების თავმჯდომარეების და მათ მოადგილეების ყრილობამ იცნო განათლების კომისარიატის მუშაობა დამაკმაყოფილებლათ ასეთ მძიმე პირობებში, ამასთან მის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პირველ დაწყებით სკოლების მდგომარეობას ფულის განაწილების დროს და მასწავლებლების ნივთიერ მდგომარეობას“.

ს. მ. უ. საბჭოს მოღვაწეობის შესახებ.

ს. მ. უ. რ. მოქმედების შესახებ მოხსენების გამო მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება ს. მ. უ. ს. წარმომადგენლისა, ყრილობა აღნიშნავს, რომ ს. მ. უ. ს. მოქმედებას ბევრი სუსტი მხარე აქვს. ს. მ. უ. ს. მხოლოდ ცდა აქამდე მომართული იყო მენშევიკებისგან მიღებულ წარმოებათა მუშ[illegible]რის დაცვაზე და ამ მხრივ [illegible]ყვედურებთ უმოქმედობას.

სამაგიეროთ ს. მ. უ. ს. სულ არა გაუკეთებია რა გამომღებ მრეწველობის ექსპლოატაციისა და ორგანიზაციის სფეროში, გარდა ტყიბულის და ჭიათურის მაღაროებისა.

ვეება ტყის სივრცე რჩება გამოუყენებელი, ან კერძო პირების ხელშია გადაცემული საკმაო გარანტიის გარეშე, რომ მათი ექსპლუატაცია წესიერი და სასარგებლო იქნება სახელმწიფოსთვის.

ყრილობა წინადადებას აძლევს ს. მ. უ. ს. მეტათ ფრთხილათ მოიქცეს კონცესიების გაცემის და კერძო პირებთან ხელშეკრულობების დადების დროს, ამოარჩიოს მათ შორის შედარებით უფრო პატიოსანი, ანგარიში გაუწიოს ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომელთაც შეუძლიანთ და მოვალენიც არიან გაუწიონ დიდი სამსახური და შველა ადგილებზე წარმოების ორგანიზაციის საქმეში. აღნიშნავს რა მეტად სავალალო მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება საგარეო აღმშენებლობა და რემონტი უმთავრეს გზა-ტკეცილებისა,—ყრილობა საჭიროთ სთვლის ს. მ. უ. ს. სერიოზული ყურადღება მიაქციოს ამ ეკონომიურათ და სტრატეგიულათ მნიშვნელოვან საქმეს.

მუშაობაში პარალელიზმის მოსასპობათ, ყრილობა აუცილებლათ სთვლის, რომ ს. მ. უ. ს. ყველა ადგილობრივი ორგანოები, როგორც მაგალითად, სატყეო კომიტეტი და სხვები შეაერთონ და დაუქვემდებარონ ადგილობრივ ეკონომიურ განყოფილებებს“.

წარმოებითი პროფკავშირებში

ბორჩალოს მაზრის პროფორგანიზაცია.

საქართველოს პ. კ. ს. ინსტრუქტორის მოხსენებიდან ირკვევა, რომ სამაზრო პროფბიურომ და განყოფილებებმა ძლიერ სუსტი მუშობა გამოიჩინეს იმის გამო, რომ მათ არ ქონდათ ამის დრო, რადგანაც მუშაობდნენ სხვა დაწესებულებებში, განსაკუთრებით პარტორგანიზაციებში. ამის გამო პროფმუშაობა ფერხდებოდა. პროვინციასთან კავშირი არ არის მოწესრიგებული. მიღებულ იქნა ზომები განყოფილებათა საფუძვლიანად მოსაწყობად. პროფბიუროში საქმის მოწესრიგების შემდეგ მოწვეულ იქნა ცალკე კავშირების და სექციების ყველა პრეზიდიუმების საერთო კრება, სადაც სამაზრო პროფბიუროს პრეზიდიუმმა გააკეთა მოხსენება თავის მუშაობის შესახებ. მოისმინეს რა მოხსენება, კრებამ დაადგინა მიმართოს საქართველოს პ. კ. ს. მოახდინოს განკარგულება იმის შესახებ, რომ პრეზიდიუმის წევრები განთავისუფლებული იქნან სხვა სამუშაოსაგან პროფორგანიზაციებში მუშაობისათვის.

შულავერში პროფორგანიზაციის უქონლობის გამო საერთო კრება მოწვეულ იქნა პარტიისა და რევკომის დახმარებით. ამხ. ბექანიშვილმა გააკეთა მოხსენება პროფმოძრაობის მნიშვნელობის, კავშირისა და ადგილობრივ კომიტეტების როლისა და მათი ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. მოხსენების შემდეგ მოხდა ადგილობრივ კომიტეტის, სოციალურ კულტურის, მედიკოსანიტარულ და საბჭოთა მუშაკების სექციის არ-

მენშევიკური სამეფოს საიდუმლოებანი

VIII

მენშევიკური საქართველო—თეთრგვარდიელთა ბნელი ფარული კუნჭული

(დასასრული. იხ. „კომ.“ № 228)

როგორც ხედავთ, გენ. არჯევანიძე ლაპარაკობს მოხალისეების გაქრობაზე ფოთიდან, როგორც საიდუმლო მოვლენაზე. მაგრამ შემდგომი საბუთები, ჩვენ ვფიქრობთ, განფანტავენ ბურუსს, რომლითაც ფარავდნენ თავის მოქმედებას მენშევიკების ჯამბაზები. მაგრამ ჯერ მოვისმინოთ კიდევ ერთი მოხსენება იმავე გენერლისა, გაკეთებული მის მიერ ერთი თვის მერე ზემოდ მოყვანილ მოხსენების შემდეგ. აი ეს მოხსენება:

„მოსმენილ იქნა: საკონცეტრაციო ბანაკის უფროსის გენერალ არჯევანიძის მოხსენება ლტოლვილთა საერთო მდგომარეობის შესახებ ფოთში. მან მოახსენა კრებას, **რომ საკონცეტრაციო ბანაკი ამჟამად ცარიელია, ფოთიდან მოხალისეთა არმიის წასვლის გამო.** როგორც წარსულ სხდომაზე მოგახსენეთ, მოხალისეთა ჯარისკაცები სრულიად დაუკითხავად, ნებადაურთველად სტოვებდნენ ფოთს, ხოლო ბანაკი გავაუქმეთ. ლტოლვილები დარჩა მხოლოდ 227 კაცი, რომელნიც მოთავსებულია ბანაკში და ქალაქის შენობაში, მათ შორის რამოდენიმე ავადმყოფი და ინვალიდია.

დაადგინეს: მიიღონ მოხსენება ცნობად. ეს „საიდუმლო“ ვაჭრობა თეთრგვარდიელებისა საქართველოს რესპუბლიკის საკონცეტრაციო ბანაკიდან ეცნობა სამხედრო სამინისტროს შიფრიანი დეპეშით. სამხედრო სამინისტროს არქივში—საქმე № 69. ჩვენ ვპოულობთ შემდეგი დეპეშას: „დაკავებულ ნაწილების ძველი უფროსები გენერალი სოკოლოვი და ნევადოვი მიიმალნენ ხალხი წავიდწამოვიდა დარჩა ძალიან ცოტა. წერტილი. ბანაკში დარჩენილები გადამყავს ბარაკებში გენერალი არჯევანიძე.

„შიფრი გახსნა კანცელარიის საქმის—მწარმოებელმა კაპიტან იაკობაშვილმა“. ამგვარად, ამ მისტიურ მოვლენებზე მენშევიკების გენერალი საჭიროდ სცნობდა შიფრიანი დეპეშებით ეცნობებინა. რათა საბოლოოდ განვმარტოთ, თუ როგორ ახერხებდნენ 10—12 ათასი მოხალისენი ქალაქ ფოთიდან გაპარვას, სადაც იყვნენ მოთავსებულნი საკონცეტრაციო ბანაკში, ჩვენ მოვიყვანთ შემდეგ საბუთს:

„საფრანგეთის მისია კავკასიაში“ № 973.
საფრანგეთის მისიის პოლკოვნიკი ბერტრენი.

მის აღმატებულებას გენერალ მდივანს, ქალ. ბათომის ბატონ საგანგებო კომისრის თანაშემწეს.

თქვენო აღმატებულებავ,

ერთი ან ორი დღის შემდეგ მოვა ბათომში გემი ,,ბორისი'' და წაიყვანს ფოთსა და ბათომიდან დარჩენილ რუს ლტოლვილებს კავკასიიდან. ვთხოვ განკარგულებას ბ. **საგანგებო კომისრისას,** რათა:

1. რუსული ეროვნული საბჭოს ხელი არ შეუშალონ ლტოლვილების გაგზავნაში.
2. გაანთავისუფლონ ლტოლვილები პასპორტების ვიზის გაკეთებიდან ადგილობრივ მილიციაში, რასაც ბევრი დრო და ფული სჭირია.
3. გაანთავისუფლონ ამ დროისათვის, თუ შესაძლებელია, რუსი დაპატიმრებულნი, რომელნიც გასაგზავნია.
4. არ შეაჩერონ სადგურზე თბილისიდან მომავალი ლტოლვილთა პარტიები.
5. ვინაიდან გემი ,,ბორისი'' ალბად უკვე ფოთშია, გთხოვთ სასწრაფოდ გაგზავნოთ დეპეშა ფოთში, არ დააბრკოლონ გამგზავრება.
6. ლტოლვილებმა უნდა წამოიღონ თან საგზალი და შეუძლიათ წამოიღონ მთელი თავისი ხაბაკი, და ამიტომ გთხოვთ, რათა საბაჟოს მოხელენი იყვნენ შელავათიანი გემზე ნივთების დატვირთვის დროს,
7. გემის მოსვლის შემდეგ გთხოვთ გამოგზავნოთ საიდუმლო აგენტები ბოლშევიკებისაგან დასაცავად.
8. გემი მიემგზავრება სტამბოლში.

პოლკოვნიკი ბერტრენი.

რეზოლიუცია: **„საქმეთა მმართველს. შეატყობინეთ საფრანგეთის მისიის უფროსს:**

1, რომ არასოდეს და არავითარი დაბრკოლება რუსულ ნაციონალურ საბჭოსათვის ლტოლვილების გაგზავნის დროს არ შეგვიქმნია, პირიქით, ყოველთვის ფრიად ფართე დახმარებას ვუწევდით როგორც რუსულ ნაც. საბჭოს, ისე ლტოლვილებს თვით ფულით შემწეობის აღმოჩენამდე, ერთი ათასიდან ხუთმეტ-ათასამდე; ჩემ მიერ პირადად დაკითხულმა რუსულ ნაციონალ. საბჭოს თავმჯდომარემ ამ საქმის შესახებ განაცხადა, რომ არავინ და არასოდეს რუს. ნაც. საბჭოსთვის ლტოლვილთა გადაგზავნის საქმეში დაბრკოლებას არ ქმნიდა.

2 ლტოლვილების განთავისუფლება პასპორტების ვიზის გაკეთებიდან ადგილობრივ მილიციაში შეუძლებელია, მაგრამ ნაბრძანებია ფული არ გადაახდევინონ ვიზისათვის.

გენ. მდივანი.

19—6 | 9—20 წ.

როდესაც რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელმა, კონსულმა ზვერევმა მოსთხოვა გენ. მდივანს ზომების მიღება, რათა არ იქმნეს დაშვებული გემ „ბორის“-ზე ჩასხმა მოხალისეთა არმიის ოფიცრებისა, რომელნიც მიემგზავრებიან ყირიმში ვრანგელის ჯარების შესავსებათ,—საქართველოს წარმომადგენელმა იმით უპასუხა, რომ ამხანაგ ზვერევს წინადადება მისცა—გაესინჯა აღნიშნულ გემის მგზავრები. იგულისხმება, საფრანგეთის წარმომადგენელმა, პოლკოვნიკ ბერტრენმა, რომელიც აგრეთვე იყო ვრანგელის წარმომადგენელიც, კატეგორიულად უარი განაცხადა, ასეთი გადასინჯვის შესაძლებლობა მიეცა, რასაც იმითი ხსნიდა, რომ გემი დგას საფრანგეთის ბაირაღით და სარგებლობს ექსტერიტორიალობის უფლებით. რა თქმა უნდა, რომ მენშევიკებს გულწრფელად მოესურვებინათ რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულობის 8 მუხლების ასრულება, ისინი შესძლებდნენ დროზე მიეღოთ ზომები ოფიცრების გემზე ჩასხმის დაუშვებლობისათვის.

მაგრამ, როგორც ჩვენ დავინახეთ გენერალ მდივანის რეზოლიუციიდან, ასეთი მოქმედება არასოდეს არ შედიოდა საქართველოს მთავრობის ანგარიშში: ის, პირიქით, ყოველმხრივ ხელს უწყობდა ,,ლტოლვილების“ გაგზავნას ყირიმში...

მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი ოქტომბრის თვეში გაგრაში, როდესაც იქიდან გაიქცა 6.000-ზე მეტი კაზაკი გენერალ ხვოსტიკოვის დამწყვდეულ რაზმიდან. ამ ფაქტის შესახებ ჩვენ გვაქვს ჩვენება გაგრის სამაზრო მილიციის უფროსის, მენშევიკ ოსიძისა. აი რას სწერს იგი ამაზე მთავრობის რწმუნებულს ლ. რუხაძეს.

„...გენერალ ხვოსტიკოვის გამოჩენაც არ მომხდარა სამხედრო ხელისუფალთა უცოდინრად, ვინაიდან მათ ჰქონდათ ლაპარაკი ჩემი არ ყოფნის დროს, როდესაც მე სამსახურის გამო სოხუმში ვიყავი, მშვენივრად იცოდნენ, რომ ხვოსტიკოვი ცხოვრობს დროებითი სასტუმროში, მაგრამ რატომ არ დააპატიმრეს, არ ვიცი. მიუხედავად ჩემი სურვილისა, მე არ შემეძლო არ დავმორჩილებოდი გენერალ მაჭავარიანს და შემეპყრა კაზაკები, მით უმეტეს, როცა მქონდა გენერლის პირადად ჩემდამი წერილობითი ბრძანება ამა წ. 15 სექტემბრიდან № 2001, პოლკოვნიკ ბელუევსათვის ყოველგვარ დახმარების აღმოჩენის შესახებ, ყველა მის საიდუმლო საქმეებში. ბელუევი იყო გენერალ ხვოსტიკოვის შტაბის უფროსი.

ავიღოთ შემდეგ ის შემთხვევა, რომ როცა წყალქვეშა ნავი „იხვი“ შეჩერდა ჰორიზონტზე გაგრის ახლოს და „იხვი“-დან მოტორით გადმოვიდნენ პოლკოვნიკი პროსვირინი ორი მხლებელი ოფიცრით, რომელნიც გადაცმული იყვნენ სამოქალაქო ფორმაში, ისინი მაშინვე გამოცხადდნენ გენერალ მაჭავარიანთან, რომელმაც ნება დართო მათ გაგრაში ცხოვრებისა.

თუმცა მე უნდა დავქვემდებარებოდი გენერალ მაჭავარიანს, მაგრამ, ვხედავდი რა, რომ ასეთი პოლიტიკის წარმოება დამღუპველია ჩვენთვის, ვაპატიმრებდით რა ბოლშევიკებს, ამავე დროს გაგრაში თავისუფალ მოქმედების საშუალებას ვაძლევდით ვრანგელის აგენტებს, რომელთაც უნდოდათ იქ თითქმის თავის შტაბის დაარსება,—მე ნელ-ნელა დავიწყე მათი ძებნა, გაფანტვა და ხელს ვუშლიდი ეცხოვრათ მათ გაგრაში. მე ამას იმიტომ ვშობოდი, რომ დარწმუნებული ვიყავი, ბოლშევიკების აგენტები ჩვენ თვალყურს გვადევნებდნენ, ხოლო საქართველო ხომ სრულ ნეიტრალიტეტს იცავდა.

ეხლა, როდესაც კაზაკები იარაღის ძალით წავიდნენ იგუმნოვიდან, შემიძლია აშკარად ვთქვა, რომ იქ სუსტი იყო სამხედრო ხელისუფალთა მხრივ დაცვა და არ ყოფილა ჯარისკაცთა საკმაო რიცხვი. მე, რომელსაც ჰყავდა 32 სამაზრო მილიციონერი, შემეძლო დამეყენებია მცველი რაზმი მილიციისა [illegible] სოფელთაგან 20 კაცამდე, ვფიქრობ, რომ სამხედრო ხელისუფლებას შეეძლო საგრძნობლად გაეძლიერებინა დაცვა და შესაძლებელი იყო ამ ისტორიის აშორება. ამას მიუმატეთ, რომ როცა კაზაკებს ინტერვენცია გაუკეთეს ჩემი არყოფნის დროს (მე მაშინ სოხუმში ვიყავი), ისინი არ გაუჩხრეკიათ, და ბევრ კაზაკს შემთხვევის დროს აღმოაჩნდათ მაუზერები და ნაგანები. იმაზე წინედ, როცა კაზაკები ძალით წავიდნენ იგუმენოვიდან, ღამით მე მოვდიოდი ნეიტრალურ ზონიდან და გზაზე, ცივ წყაროსთან ახლოს შევხვდი ცხენოსან კაზაკებს 200 კაცამდე. როდესაც მე ვკითხე მათ—თუ ვინ გაუშვა ისინი, მიპასუხეს, რომ ისინი გაატარა „თავად“ ერისთოვმა პაკეტზე „რვაასი“ (სოფელი რვაასი). მე მაშინათვე შევატყობინე ამაზე გენერალ მაჭავარიანს, ვინაიდან მთელ საქმეს მომწყვდეულ კაზაკების შესახებ განაგებდნენ სამხედრო ხელისუფალნი, მაგრამ არაფერი გამოვიდა,—თითქო ეს ასე უნდა მომხდარიყო.

ცხადად და გარკვევით შემიძლია ვთქვა, რომ სამხედრო ხელისუფალნი ეხმარებოდნენ კაზაკებს“. (გაგრის არქივიდან), ამ უვიცი რელიაციის ავტორი—მენშევიკების, ატყობინებდა რა ბატონ რუხაძეს ხვოსტიკოვის ისტორიის შესახებ, გულუბრყვილო ოსიძეს გულწრფელად სჯეროდა, რომ იგი აქ წააწყდა ადგილობრივი ბოროტებას, და რომ „შესაძლებელი იყო ამ ისტორიის აშორება“. მაგრამ ყველასათვის, ვინც გულდასმით ჩააკვირდება ჩვენ მიერ მოყვანილ მასალებს, ცხადი გახდება, რომ ყველაზე ნაკლებ ჰქონდა აქ ადგილი წმინდა ადგილობრივ მოვლენას. სპირიტიულ სასწაულებს, რომელიც ხდებოდა 1920 წლის განძავლობაში მომწყვდეულ მოხალისეებში, ერთი და იგივე ხასიათი ჰქონდა ფოთში, ბათომში, გაგრაში და სხვა პუნქტებზედაც. ყველგან ქართველი მენშევიკები აკავებენ რა მოხალისეებს, მათ სუსტად იცავენ და, მეორე, ყავთ ისინი სანავთსადგურო ქალაქებში, საიდანაც მათ საშუალება აქვთ ერთ მშვენიერ დღეს უკვალოდ გაქრენ. როგორც ჩვენ ვხედავთ, ფოთშიაც, გაგრაშიაც მომწყვდეულ მოხალისეებს დატოვებული აქვთ იარაღი. გენერალ მდივანის რეზოლიუცია საფრანგეთის წარმომადგენლის მიმართვაზე მჭევრმეტყველურად მოწმობს, რომ ყველა ამ შემთხვევებში გამოაშკარავდა საქართველოს მთავრობის გარკვეული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა გენერალ ვრანგელისადმი ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენას. უკანასკნელს ფრიად ესაჭიროებოდა ახალი ჯარი და [illegible] მე-11 ინტერნაციონალიდან აძლევდნენ ასეთს საფრანგეთის იმპერიალიზმის წარმომადგენლების საშუალებით.

ი. შაფირი.

P. S. როდესაც ეს წერილი უკვე იყო, ჩვენ ვიპოვეთ შემდეგი დეპეშა, რომელიც ადასტურებს ვ. ჩაიკინის მიერ გამოთქმულ აზრს ფოთის ამორჩევის შესახებ კონცეტრაციულ ბანაკისათვის:

„ქუთაისი, გარნიზონის უფროსს.

313 დაკავებულ მოხალისეთა არმიის ყველა მხედრები, რომლებსაც კი შეუძლიათ იარაღის ტარება, უნდა მოთავსდენ ფოთში. სხვა ლტოლვილებს შეუძლიათ საცხოვრებლათ აირჩიონ საქართველოს ყოველი ნაწილი თბილისის გამოკლებით და გავიდენ საზღვარ გარეთ დაუბრკოლებლათ. თბილისში ცხოვრება შეიძლება შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვით. ზევით აღნიშნული სამხედრო მინისტრის ბრძანებით გეცნობებათ სახელმძღვანელოდ. 8 აპრილი № 1565.

გენერალი ქავთარაძე“.

აღნიშნული დეპეშა არავითარ ეჭვს აღარ ტოვებს ფოთის არჩევის ნამდვილ აზრში დაკავებულ მოხალისეთა „იარაღის ტარების შემძლებელი“ მხედრებისათვის. ალბათ „ნეიტრალურ“ მენშევიკებმა გადასწყვიტეს დაესაჯათ მოხალისეთა ორაგული მდინარეში ჩაგდებით...

ი. შ.

ჩვენები, რომლებიც დახელოვნებული არიან კავშირის მუშაობის წარმოებაში.

ქუთაისის სამაზრო პროფბიურო.

ქუთაისის სამაზრო პროფბიურო აერთიანებს 11 კავშირს, 3 სექციას და 5 სეკრეტარიატს. სულ 8,535 წევრს. სამაზრო პროფბიუროს აქვს 5 განყოფილება: საორგანიზაციო განყოფილება, კულტურული, ეკონომიური, სატარიფო საწარმოო, მომარაგების ქვეგანყოფილება, საკონფლიქტო და შრომის დაცვისა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე მოეწყო საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც მოიწვია ივნისის 8-ს სამაზრო პროფკავშირების კონფერენცია. კონფერენციაზე მოხდა სარაიონო პროფკავშირების საბჭოს პლენუმის არჩევნები. პლენუმმა გამოყო პრეზიდიუმი და შეუდგა მუშაობას, მოაწყო პირველად განყოფილებები. მუშათა საერთო კრებებს იწვევდნენ წარმოებითი პრინციპის მიხედვით. არჩეულ იქნა ყველა პროფწარმოებითი კავშირის გამგეობანი. დაამთავრა რა მუშაობა ქალაქში, საორგანიზაციო განყოფილება შეუდგა პროვინციების მოწყობას, რისთვისაც ადგილებზე გაიგზავნა ინსტრუქტორები. სეკრეტარიატები მოეწყო სამტრედიასა, ხონსა, ვანსა, ცაგერსა და ონში.

ქალაქში დაარსდა ადგილობრივი კომიტეტები. სეკრეტარიატებშიაც საჭიროების მიხედვით აგრეთვე მოეწყო ადგილობრივი კომიტეტები. საორგანიზაციო საკითხების შესახებ დაეგზავნათ ცირკულიარული მიმართვა.

კულტურული განყოფილება. შეუძლებელია სპეციალურ პროფკავშირების გახსნა, ვინაიდან წევრები გაფანტული არიან წვრილ წარმოებებში. გახსნილია ერთი სახალხო სკოლა მუშათათვის. წაკითხულ იქნა 4 ლექცია მიმდინარე მომენტზე. განზრახულია დასასვენებელ სახლის გახსნა მუშებისათვის. გამომუშავებულია გეგმა მე-3 ინტერნაციონალის სახელობის კლუბის გახსნისა.

მომარაგების ქვეგანყოფილება. მომარაგების ქვეგანყოფილება მუშაობს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე. დააკმაყოფილა უმთავრესად ფრიად გაჭირვებული მუშები; მიიღო მანუფაქტურა და ფეხსაცმელები, რომელიც გაანაწილეს. დააკმაყოფილეს 2,000-მდე კაცი, ზოგი ფეხსაცმელით, ზოგიც ტანსაცმელით. ქვეგანყოფილების ინიციატივით არჩეულია შეშის დამზადებელი კომისია. კომისიის ენერგიულ მუშაობის შედეგით შეშით დააკმაყოფილეს 7.000 მუშა. დამზადება სწარმოებდა მუშებისა და მოსამსახურეებისაგან. მიღებულია ზომები მუშების მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივში ჩასარიცხავად, ჯერ ჩარიცხულია 1000 კაცი.

მიღებულია ზომები მუშათა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით აღებულია მუშათათვის ერთი სახლი.

სატარიფო-სანორმო განყოფილება. ტარიფი გატარებულია ყველა საბჭოთა დაწესებულებებში სამაზრო მასშტაბით 26 წარმოებაში, სადაც ირიცხება 8,000 მუშა და მოსამსახურე. პრემიალური სისტემა გატარებულია მხოლოდ თამბაქოს ფაბრიკებში.

შრომის დაცვის განყოფილება. განყოფილება ათვალიერებს და იკვლევს საცხოვრებელ ბინებს და ფაბრიკასა და წარმოებაში მუშაობის პირობებს. მუშაობა სწარმოებს დეკრეტის და სათანადო ორგანოთა განკარგულების თანახმად. ქუთაისის სამაზრო პროფბიუროს ქონდა 6 სხდომა, პრეზიდიუმს—11.

მბეჭდავთა ცენტრალური კავშირის პლენუმი

მოსმენილ იქმნა ამხ. ვირაპის მოხსენება პოლიგრაფიულ მრეწველობაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შესახებ.

წარმოების სამეურნეო-კომერციულ საფუძველზე უმტკივნეულოდ გადასვლისათვის, საჭიროა უწინარეს ყოვლისა შესწავლილ იქმნას მრეწველობისა და წარმოების მდგომარეობა ამ ჟამად. ყველა სტამბები, რომელიც ამ ჟამად იმყოფება სამხედრო და სხვა დაწესებულებათა ხელში, საჭიროა იმყოფებოდეს პოლიგრაფიულ განყოფილების ხელში. საქმის სწორ ნიადაგზე დაყენებისათვის უნდა მოხდეს მრეწველობის კონცენტრაცია. ცხადია, რომ პირველ ხანებში სხვა და სხვა დაწესებულებათა დანაკვეთის შესრულებაში პოლიგრაფიული განყოფილება ვერ მიიღებს კუთვნილ თანხებს, რისთვისაც საჭირო იქნება ბანკში გვქონდეს მიმდინარე ანგარიში.

სატარიფო პოლიტიკა უნდა უკან მისდევდეს ეკონომიურს, ვინაიდან სასურსათო რესურსების სფეროში ჩვენი შესაძლებლობის შეუქმნელად წინასწარ გაურკვევლობის გამო, შეუძლებელია და მიზან-შეუწონელი ახალ ტარიფზე გადასვლა, რადგან ამ კითხვის გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა მიღებულ იქმნას რეალური საცხოვრებელი მინიმუმი. მოისმინა რა ამხ. ვირაპის მოხსენება, პლენუმმა საჭიროდ სცნო პოლიგრაფიული და ეკონომიური განყოფილებათა კავშირების ერთად მუშაობა თავისი მდგომარეობის მოსაწესრიგებლად და მთელ რიგ ზომათა მისაღებათ სამეურნეო-კომერციულ საფუძველზე უმტკივნეულოდ გადასვლისათვის.

პლენუმი აუცილებელ საჭიროებად სთვლის პოლიგრაფიულ მრეწველობის წარმოებათა კონცენტრაციას.

საკვებ ქიმიურ-მრეწველობის კავშირის ეკონომიური განყოფილების, და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საკვებ-ქიმიური განყოფილების კოლეგიის საურთიერთო დამოკიდებულებანი.

საკვებ-ქიმიურ მრეწველობის კავშირის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე, ეკონომიურ განყოფილების და სახალხო მეურნეობის უმაღლესს საბჭოს საკვებ-ქიმიურ განყოფილების საურთიერთშორისო დამოკიდებულების საკითხის შესახებ, დაადგინა: სასოფლო-მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საკვებ-ქიმიური განყოფილების კოლეგია ჩაითვალოს კავშირის სამეურნეო ალმასრულებელ ორგანოდ. კოლეგიამ უნდა იმუშაოს კავშირის საერთო ხელმძღვანელობით ეკონომიურ განყოფილების სახით, უკანასკნელი ითვლება კოლეგიის მოქმედებათა საკანტროლო ორგანოთ. კოლეგიის საერთო და პრინციპიალურ კითხვების განხილვის დროს ეკონომიურ განყოფილებასთან აზრთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, კითხვა გადატანილ უნდა იქმნას პრეზიდიუმის სხდომაზე და ამრიგად გადაწყვეტილი კითხვა გატარდება ცხოვრებაში.

იმავე სხდომაზე კერძო წარმოების მუშათა შეშით მომარაგების გამო, დადგენილია მიეცეს წინადადება მწარმოებლებს, რომ დაურიგონ თავიანთ მუშებს ერთი-მეოთხედი საჟ. შეშა ან ეკვივალენტი ბაზრის ფასის მიხედვით.

ამშენებელთა და ხის დამმუშავებელთა კავშირში.

სარაიონო კომიტეტის საფაბრიკო კომიტეტების და ადგილობრივ კომიტეტების კონფერენციის სხდომაზე გაკეთებულ იქმნა მოხსენებანი ადგილებიდან.

ჩუღურეთის რაიონი სუსტად მუშაობდა ბინის უქონლობის გამო, არც რაიონი და სარაიონო კომიტეტი რეგულიარულად სხდომებს არ მართავს. პროფესიონალურ მუშაობისადმი დიდი ინტერესი სჩანს.

ვერის სარაიონო კომიტეტმა სუსტი მუშაობა გამოიჩინა.

ავლაბრის რაიონი. სარაიონო კომიტეტი მოეწყო ივნისში, აქვს სასადილო, ორი სარაიონო სადალაქო, ბინის პირობები შედარებით გაუმჯობესებულია.

სამხედრო ხის სახერხი ქარხანა. მიქცეული აქვს ყურადღება მუშათა მომარაგებას და კულტურულ მუშაობას, სახელდობრ სკოლების, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების გახსნას.

აგურის ქარხანა № 4. ბინის და შრომის პირობები არაა ხელშემწყობი, ადგილი ციებიანია.

საფანერო ფაბრიკა. ფაბრიკაში სულ 7 მუშაა ნედლი მასალის უქონლობის გამო ფაბრიკა სდგას.

ხე-ტყის კომიტეტი. ხე-ტყის კომიტეტის ადგილობრივი კომიტეტი მუშათა მომარაგებას აქცევდა ყურადღებას. საერთო კრება სულ 5 იყო, ტარიფი გატარებულია.

სახელმწიფო საამშენებლო კომიტეტი. ადგილკომი აერთებს 200 თანამშრომელს, გამოყოფილია კომისიები: შრომის ორგანიზაციისა, შრომის დაცვის, კულტურულ-განმანათლებელი, საბინაო, მომარაგების და სამდივნო. ადგილკომი იღებდა აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო საამშენებლო კომიტეტის ორგანიზაციასა და მის განყოფილებებში. შრომის დაცვა მდგომარეობდა საბინაო პირობების გამოკვლევაში და შემჩნეულ დეფექტების ასაცდენად მთელ რიგ ზომების მიღებაში.

მოეწყო მოხსენებანი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ, განზრახულია მთელ რიგ ლექციების მოწყობა. წარმოებულ იქმნა დამოუკიდებლივ შესყიდვა გასახმარებელ სურსათისა, მოეწყო სადალაქო. 5 თვეში ადგილკომს 24 სხდომა ჰქონდა. განიხილეს 176 საკითხი, ეკონომიური 67, საორგანიზაციო 32, მიმდინარე 77, მოხდა 7 საერთო კრება თანამშრომელთა.

მოისმინა რა მოხსენებანი ადგილებიდან, ადგილკომების კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მიიღო რა ცნობად მოხსენებანი ადგილებიდან და სცნო რა ყველა კომიტეტების მოხსენებანი, გარდა სახელმწიფო საამშენებლო კომიტეტის ადგილკომისა, ფრიად სუსტათ, აღიარებს მიზანშეწონილად ადგილკომების გადარჩევა მოახდინოს.

პროვინციაში

სენაკის მაზრის პოლიტიკურ განათლების განყოფილების მოქმედება.

მარტი—ნოემბერი.

გადატრიალებასთანავე სენაკის მაზრაში დაიწყო პოლიტიკურ განმანათლებელი მუშაობა. პირველ ხანებში მან (პ. გ.) გაიარა მრავალი გარდამავალი პერიოდი. პირველი ხანა 13 მარტის შემდეგ ვიდრე ივნისამდე, შეიძლება დავახასიათოდ, როგორც პარტიული პერიოდი, ე. ი. პოლიტ. გან. მუშაობას აწარმოებდა ერთი და იგივე დაწესებულება პარალელურად. მეორე ხანა პირველ ივნისიდან პირველ სექტემბრამდე, როდესაც არსდება ჩანასახი პოლიტ. განათლებისა ე. ი. აგიტ. პუნკტი და გრუკავროსტა საინფორმაციო განყოფილებით. ამ პერიოდში პ. გ. ქონდა მჭიდრო კავშირი, როგორც განათ. განყ. ისე პარტიასთან. მესამე ხანა პირველ სექტემბრიდან პოლიტგანათლება შეუერთდა ორგანიულად განათლების განყოფილებას: ჩამოყალიბდა მაზრის პოლიტ-განათლების ცენტრი თავისი ქვეგანყოფილებებით და სექციებით. პოლიტ-განათლებამ ვერ შესძლო მჭიდრო კავშირის დაჭერა, როგორც ცენტრთან ისე პერიფერიებთან, რაც აიხსნება ობიექტიური პირობებით. პირველ ივნისიდან გრუკავროსტა ღებულობდა გაზეთებს და ლიტერატურას ცენტრიდან და ანაწილებდა მას საბჭოთა ორგანიზაციებში. თანახმად დადგენილებისა, გრუკავროსტა უშვებდა ყოველ დღიური საპლაკატო უწყებებს, სადაც თავსდებოდა საგარეო პოლიტიკის, ომის, სამეურნეო დარგის შესახებ ცნობები. საპლაკ. უწყ. ვრცელდებოდა, როგორც შიგ ქალაქში, ისე მთელს მაზრაში, საპლაკატო უწყების გამოშვება გრძელდებოდა მანამდის, სანამ გრუკავროსტის განყ. გადავიდოდა და ჩამოყალიბდებოდა პოლიტ-განათლების კონსტრუქციაში. პოლიტ-განათლება საპლაკ. უწყ. გამოშვება შესძლო 25 ოქტომბრამდის. ამ დროიდან შესწყდა მისი გამოშვება ქაღალდის და სხვა მასალის უქონლობის გამო. სულ გამოშვებულ იქმნა საპლაკ. უწყ. 60 ნომერი.

პირველ სექტემბრიდან პოლიტ-განათლებამ თავის საკუთარი ნაბიჯის გადადგმა დაიწყო თანდა-თანობით. ამ მოკლე ხანში მან, მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზების მიუხედავად, შესძლო ბევრი რამის გაკეთება.

სამაზრო პოლიტ-განათლებასთან არსებობს სამი მთავარი ქვე-განყოფილება თავისი სექციებით. 1) საპროპაგანდო, 2) სააგიტაციო და 3) საორგანიზაციო.

მაზრის პოლიტ-განათლებამ სავსებით მოაწყო ცენტრალური აპარატი და დაარსა ექვსი რაიონული პოლიტ-განათლების განყ. თითო შტატით (ჯერ-ჯერობით).

აგიტაციის დარგში სამპარტკომის აგიტ-პროპის განყოფილებასთან ერთად გატარებულია მთელი რიგი პოლიტიკური კამპანიები: სასურსათო გადასახადის, მე-3-ე კომინტერნის, კავკასიის ცალკე არმიის, ვოლგის დამშ. მხარის, 4 წ. პროლეტ. რევ. დღესასწაულის, ბავშთა კვირის, თესვის და დახვნის შესახებ და ემზადება ფედერაციის კამპანიის ჩასატარებლად.

ქოხ. სამკითხველო.

ქოხ. სამკითხველო, — როგორც ერთ ერთი საშუალება მშრომელთა გასათვითცნობიერებლად, მოითხოვს მეტ ყურადღებას და ამ მხრივ მიღებულ იქმნა სათანადო ზომები. ოთხი წლის პროლეტარული რევოლიუციის აღსანიშნავად გაიხსნა მაზრის მასშტაბით 36 თემის ქოხ. სამკითხველო რევოლიუციის ბელადთა სახელობაზე. მაზრაში არსებობს 36 თემი და ყოველგან გახსნილია ქოხ-სამკითხველო და არჩეულია, როგორც გამგე, ისე საბჭოც. ქალაქში არსებობს ერთი ქალაქის სამკითხველო ბიბლიოთეკით, ერთი ციხის სამკითხველო, რომელიც გაიხსნა ამ დღეებში. 7 ნოემბრის დღესასწაულის აღსანიშნავად გაიხსნა ქ. სენაკში ცენტრალური მუშათა კლუბი ნ. ლენინის სახელობაზე. დანიშნულია გამგე, ჯერ-ჯერობით კლუბთან არსებობს მხოლოდ სამკითხველო. მიღებულია ყოველივე ზომები კლუბის ნორმილურ კალაპოტში ჩასაყენებლად. ექსივე რაიონში არსებობს სარაიონო ბიბლიოთეკები, რომლებიც შეერთებულია რაიონულ ქოხ-სამკითხველოსთან. აბაშის, ბანძის, მარტვილის, სალხინოს, ნოქალაქევის და ძველი სენაკის. ქალაქ სენაკში გახსნილია ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც აერთებს მთელს მაზრაში ყველა ბიბლიოთეკებს. წიგნების კლასიფიკაცია სწარმოებს. სულ აღრიცხვაში აღებულია რუსული 2840, ქართული წიგნი 3360, ყველა ახალ გახსნილ სამკითხველოს მიღებული აქვს: სურათები, პლაკატები, წიგნები, საბავშო ჟურნალი, ცეკას· უწყებები №-4-5 ქართულ ენაზე და სხვა. სულ დღეს არსებობს ახალი წესით 39 ქოხ-სამკითხველო. ქოხსამკითხველოების უმრავლესობას არა აქვს საკუთარი ბინა და ინვენტარი. მიღებულია ზომები მისი შესავსებათ. მაზრაში არსებობს სულ 157 სოფლები, რომლებშიაც თანახმად ინსტრუქციისა და მაზრის პოლიტ. განათ. კოლეგიის დადგენილებისა, დაუყონებლივ უნდა გადაკეთდეს ძველი არსებული სამკითხველოები ახალ სისტემაზე, მისთვისაც საჭიროა, როგორც სათანადო თანხა, ისე ინვენტარი, რასაკვირველია პირველ ხანებში, მომავალში კი განზრახულია სოფლის ქოხ-სამკითხველოების შენახვა დაეკისროს თვით ადგილობრივ სოფლებს, ხოლო გაზეთებით, წიგნებით და იდეურ ხელმძღვანელობით გაუწევს სამაზრო პოლიტ-განათლება სამპარტკომთან შეთანხმებით.

ყველა გამგეებს დაეგზავნა ცირკულიარი, რათა ხალხს როგორც ჟურნალ-გაზეთები, ისე ბროშურები წაუკითხონ ხმა-მაღლა. ქოხ-სამკითხველოები ღებულობენ სისტემატიურად გაზეთებს. ყველა ქოხ-სამკითხველოებში ეწყობა ჩანასახი კლუბისა-პატარა ბიბლიოთეკა და სხვა. მიღებულია ზომები, რათა ქოხ-სამკითხველოს ექნეს ყველას თავისი საკუთარი შენობა და ინვენტარი.

სახალხო უნივერსიტეტი.

4 წლის პროლეტ. რევ. აღსანიშნავად ქ. ახალ-სენაკში გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი (ყოფილ ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში). არჩეულია ლექტორთა შემადგენლობა და ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას.

წ. ქ. უც. სალიკვიდაციო სკოლა.

წ. ქ. უც. სალიკ. კომისიის მიერ გადადგმულია შემდეგი ნაბიჯი: მაზრაში გახსნილია 32 თემის სალიკვიდაციო სკოლა 40 მასწავლებლებით. მოწაფეთა რიცხვი არის 1200-დე. მოწაფეებს დაურიგდათ თითო ცალი ფანქარი, კალამი, კალმის-ტარი და თითო ცალი რვეული, აგრეთვე დედაენაც. პირველ ოქტომბრიდან მეცადინეობა სკოლებში შეჩერებულ იქმნა ტეხნიკური მიზეზების გამო. ამ დღეებში მეცადინეობა ისევ განახლდება. მხოლოდ საჭიროა ამას მიექცეს სერიოზული ყურადღება ცენტრის მიერ ნივთიერი დახმარებას სახით. სკოლებში მეცადინეობა იწარმოებს სალამობით.

თეატრი.

პოლიტ-განათლებას დიდ ყურადღებას აქცევს თეატრს. მაზრაში არსებობს შვიდი თეატრი: ახალ სენაკი, აბაშა. ბანძა, მარტვილი, სალხინო, ნოქალაქევი და ძველი სენაკში. ყველა თეატრები იმყოფება უნუგეშო მდგომარეობაში, საჭიროებენ კაპიტალურ შეკეთებას, განსაკუთრებით სენაკის; არ გააჩნია სანახევროდ მინები, საჯდომები, კარები და სხვა მოწყობილობა. მიუხედავათ ამისა პოლიტ-განათლება მაინც მართავდა და მართავს დღესაც წარმოდგენებს, უმეტეს შემთხვევაში უფასოდ.

ბოლო ხანებში მოეწყო კოლექტიური ნიადაგზე მსახიობთა დასი. ზამთრის სეზონისათვის შემდგარია დრამატიული დასი: სენაკში 20 კაცი, აბაშაში 16 კაცი, ბანძაში 10 კაც., მარტვილში 8 კაცი; სალხინოში 7 კაცი, ნოქალაქევში 8 კაცი, ძველი სენაკში 10 კაცი. ყველა თეატრებს ყავს გამგეები (დირექტორი) და შიკრიკი. ხოლო პოლიტ-განათ. ყავს სათეატრო საქმისათვის ერთი გამოცდილი სამაზრო ინსტრუქტორი. ყველა თეატრების გამგეებს დაეგზავნა სათანადო ცირკულიარი, თუ როგორ და რა წესით იმუშავონ;—აგრეთვე დასის შემადგენლობას.

წარმოდგენები იმართება ცენტრის მიერ დამტკიცებული რეპერტუარით და ზოგიერთ შემთხვევაში თვით პოლიტ-განათლების ნებართვით და განხილვით.

ყოველივე ხელმძღვანელობას უწევს დასს მაზრის პოლიტ-განათლება-თეატრს ძალიან ცოტა მოეპოება ახალი რევოლიუციონურ აგიტაციური და თანამედროვე შინაარსის პიესები და სათეატრო მოწყობილობა. თეატრი თან და თან ღებულობს მტკიცე და ფართო აგიტაციურ რევოლიუციონურ ხასიათს. ჯერ-ჯერობით ცენტრიდან პოლიტ-განათლებას თეატრისათვის არაფერი მიუღია. დაიმედებული მასის სიმპატიურ მოპყრობით, ახლო მომავალში შეიძლება ყოველივე დეფექტების შესწორება. დასის რაიონული შემადგენლობა დრო გამოშვებით მმართავს წარმოდგენებს მახლობელ და მივარდნილ კუთხეებში, ხოლო რაიონში კი კვირაში ერთხელ და ქ. სენაკში კი კვირაში ორჯერ. თანახმად მაზრის პოლიტ-განათლების და სათეატრო საქმეთა ინსტრუქტორის მიერ შემუშავებული ინსტრუქციისა.

მომღერალთა გუნდი.

მაზრაში შემდგარია მომღერალთა გუნდი სამი ლოტბარით. გუნდი შესდგება 28 კაცისაგან, რომელიც ირიცხება პოლიტ-განათლების შტატში. ასეთივე შემდგარია დ. აბაშაში 16 კაცისაგან, კოლექტიურ ნიადაგზე, მიღებულია ზომები, რათა ყველა რაიონში მოეწყოს ასეთივე გუნდები მოხალისეთაგან კოლექტიურ ნიადაგზე. მაზრაში აგრეთვე არის მუსიკა, მაგ., აბაშაში. საჭილაოში ეწყობა ადგილობრივ და თვით სენაკში მიღებულია ზომები მუსიკის ორგანიზაციისათვის. იდეურ ხელმძღვანელობას უწევს, როგორც გუნდს, მუსიკას, ისე თეატრს პოლიტ-განათლება სამპარტკომთან შეთანხმებით.

ცენტრ. სიტყვა.

თანახმად განათლების კომისარიატის მოწერილობისა (ორგ. ცენტრის გამგის) მაზრაში დაარსებულია ცენტრ. სიტყვა, რომელიც ღებულობს ცენტრალურ ცენტრ.-სიტყვიდან გაზეთებს, როგორც თბილისის, ისე მოსკოვისაც. ცენრტ-სიტყვას ყავს თავისი გამგე და ექსპედიტორი. გაზეთები მაზრაში მოდის კვირაში ორჯერ და ხანდისხან კი სამჯერ. გაზეთები მაშინათვე ნაწილდება თანახმად დაწესებულ ულუფისა, როგორც შიგ ქალაქში ისე მთელს მაზრაში, გარდა აბაშის რაიონისა, რომელიც ცენტრალურ ცენტრ-სიტყვიდან ღებულობს უშვალოდ და ანაწილებს მთელ აბაშის რაიონში. ჟურნალ-გაზეთის რიცხვი გადიდებულ იქნეს, რომ დაკმაყოფილდეს მთელი მაზრა, განსაკუთრებით კი მივარდნილი კუთხეები. ცენტრალური ექსპედიციიდან მიღებული აქვს პოლიტ-განათლებას ლიტერატურა რუსული 5000 წიგ., რომლის ნაწილი დარიგებულია დანიშნულებისამებრ, გაზეთები მიღებულია რუსული 5008. კომუნისტი 10045 ცალ. სულ მიღებულია 18 სხვა და სხვა გამოცემები.

პოლიტ-განათლების კოლეგია.

სამაზრო პოლიტ.-განათლების კოლეგიაში შედიან პოლიტ.-განათლების ყველა განყოფილებათა გამგეები, სამაზრო ინსტრუქტორი, განათლების განყ. გამგე, პარტკომის აგიტ-პროპის განყ. გამგე, ახალგაზრდა კომ-კავშირის პასუხის მგებელი მდივანი, პროფკავშირის კულტურულ განმანათლებელი სექციის გამგე, წითელი ჯარის ნაწილის წარმომადგენელი.

დასკვნა.

ამ რიგად სენაკის მაზრის პოლიტ-განათლების მუშაობის სტრუქტურა დაახლოვებით მაინც გარკვეულია. მხოლოდ უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის საქართველოს პირველ პოლიტ-განათლების ყრილობას, სადაც გამომუშავებული იქნება მტკიცედ მთელს რესპუბლიკის მაშტაბით საერთო სამუშაო გეგმა.

სენაკის მაზრის პოლიტიკურ განყოფილების გამგე **პლატონ დ. დანელია.**

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.
— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი »ნაძალადევი« ტელ. 1—33.
— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.
— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.
— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 »მუშათა კლუბის« შენობაში. 9—52.
— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.
— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ორშაბათს 12 დეკემბერს გამოვა ყოველ კვირეული
,,ცისფერი ყანწების'' პოეტების გაზეთი
,,ბარრიკადი"
პოეზია, ესტეტიკა, პოლიტიკა.
რედაქტორი: ტიციან ტაბიძე.
მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 24, ტელ. 7—99.

სამშაბათს 6 დეკემბერს მოხდება საზეიმო გახსნა პოეტების და მწერალთა კლუბის „ქიმერიონ"-ს
სიტყვებს იტყვიან
პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე
„კაფეს სტილი", „პოეზია და ბოგემა"
საუკეთესო არტისტები ოპერის, დრამის, ბალეტის შეასრულებენ განსაკუთრებულ პროგრამას, პოეტები წაიკითხავენ ახალ ლექსებს, იქნება ლექსების გამოფენა.
დღისით და ღამით დაუკრავს ორკესტრი
მაგიდებზე ჩაწერა მიიღება იქვე, რუსთაველის პროსპექტი № 21.

მთავარი დამზღვევი კასა

ყველა სამაზრო პროფბიუროებს და დამზღვევ კასების (საავათმყოფო კასების) გამგეობებს

ქალაქ ტფილისის მთავარი დამზღვევი კასის ახალი გამგეობა თავის ბინაზე (ბარიათინის ქუჩა, № 6) 20 დეკემბერს იწვევს სრულიად საქართველოს

დამზღვევ კონფერენციას

კონფერენციის დღის წეს-რიგი:

1. მთავ. დამზღვ. კასის გამგეობის საინფორმაციო მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. მიმდინარე მომენტი და მუშათა სოციალური დამზღვევის ამოცანები.
4. შრომის დაცვა და სოციალური დაზღვევა.
5. საორგანიზაციო საკითხები.
6. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა

1. თვითეული სამაზრო პროფბიურო აგზავნის ერთს წარმომადგენელს.
   შენიშვნა 1. იქ, სადაც არსებობს დამზღვევი კასის გამგეობა—წარმომადგენელი იგზავნება ამ უკანასკნელის შემადგენლობიდან.
   შენიშვნა 2. ჭიათურისა და ტყიბულის კასების გამგეობები აგზავნიან უშუალოდ ორ-ორ წარმომადგენელს.
2. დელეგატებს უნდა ჰქონდეთ სათანადო მანდატები.

გამგეობა.

დეკემბრის 15 საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი

იწვევს ქალ. ტფილისში შრომის განყოფილებების გამგეთა ყრილობას.

ყრილობის დღიური წეს-რიგი:

1. შრომის სახალხო კომისარიატის საერთო მოქმედების შესახებ მოხსენება.
2. შრომის სახ. კომისარიატის მოქმედება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში.
3. მოხსენებანი ადგილებიდან.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. შრომის ბეგრის შესახებ.
6. მუშათა ძალის აღრიცხვის შესახებ.
7. მიმდინარე საქმეები.

საბჭოთა.

ახალი ფოსტა-ტელეგრაფ ის და ტელეფონის ნიხრი ვრცელდება ყველა საბჭოთა დაწესებულებებზეც და წითელ ლაშქარზე და გამონაკლისი არავის არ აქვს. იმ საბჭოთა დაწესებულებათ, რომელნიც თებერვალში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან სარგებლობდნენ ტელეფონებით უფასოთ, უნდა გადახდეთ პირველ დეკემბრამდე ძველი ნიხრის ანგარიშით და შემდეგ კი ახალი ნიხრით. პირველ დეკემბრამდე გაცემული მანდატები ტელეგრაფით და ტელეფონით უფასოთ სარგებლობისა გაუქმებულია.

ფოსტელსახკომი **ა. ყამარაული.**

ტირაჟი 10,09 ნ. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტეინის ქ., № 5.